*დანართი N2*

განათლების
ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

1. "მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურის" საბაკალავრო პროგრამა
2. "ტელერეჟისურის" საბაკალავრო პროგრამა
3. "ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიების" საბაკალავრო პროგრამა
4. „ხმის რეჟისურის" საბაკალავრო პროგრამა
5. "კინო-ტელე ოპერატორის" საბაკალავრო პროგრამა
6. "აუდიოვიზუალური რეჟისურის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე)" სამაგისტრო პროგრამა
7. "კინო-ტელე ოპერატორის (თეორია და პრაქტიკა)" სამაგისტრო პროგრამა
8. "აუდიოვიზუალური ხელოვნების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

11-14 / 09 / 2023

27 / 10 / 2023

თბილისი

## შინაარსი


I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ.......................................... 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა......... **Error! Bookmark not defined.**

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.......... **Error! Bookmark not defined.**

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა............................................................................................ **Error! Bookmark not defined.**

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ................................................................................. **Error! Bookmark not defined.**

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.......... **Error! Bookmark not defined.**

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ........................... **Error! Bookmark not defined.**

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები **Error! Bookmark not defined.**

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 203851028 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ალისია პრესენსიო ჰერერო/Complutense University of Madrid, ესპანეთი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ელენე ასათიანი, შპს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | სოფიო თავაძე, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ანი ქვათაძე - შპს ბაუ საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბათუმი |
| წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | მარიამ ალექსიძე, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო |

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

| | პროგრამა 1 | პროგრამა 2 | პროგრამა 3 | პროგრამა 4 | პროგრამა 5 | პროგრამა 6 | პროგრამა 7 | პროგრამა 8 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | "მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურა" | „ტელერეჟისურა“ | "ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიები“ | "ხმის რეჟისური“ | "კინო-ტელე ოპერატორი“ | "აუდიოვიზუალური რეჟისურა“ (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე) | "კინო-ტელე ოპერატორი“ | „უდიოვიზუალური ხელოვნება“ |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი | ბაკალავრიატი | ბაკალავრიატი | ბაკალავრიატი | ბაკალავრიატი | მაგისტრატურა | მაგისტრატურა | დოქტორანტურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | რეჟისურის ბაკალავრი | რეჟისურის ბაკალავრი | რეჟისურის ბაკალავრი | რეჟისურის ბაკალავრი | საოპერატორო ხელოვნების ბაკალავრი | რეჟისურის მაგისტრი | საოპერატორო ხელოვნების მაგისტრი | აუდიოვიზუალური ხელოვნების დოქტორი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0211.1.3 | 0211.1.3 | 0211.1.3 | 0211.1.3 | 0211.1.3 | 0211.1.4 | 0211.1.4 | 0211.1.1 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1] | | | | | | | | |
| სწავლების ენა | ქართული | ქართული | ქართული | ქართული | ქართული | ქართული | ქართული | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 | 240 | 240 | 240 | 240 | 120 | 120 | 60 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთ | აკრედიტებული #336 21.11.2011 | აკრედიტებული #336 21.11.2011 | აკრედიტებული #336 21.11.2011 | აკრედიტებული #336 21,11.2011 | აკრედიტებულია #336 21.11.2011 | აკრედიტებული#282 02.08.2012 | აკრედიტებული #282 02,08.2012 | აკრედიტებული #287 02,08.2012 |

[1](მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აშორისო აკრედიტაცია)<br><br>შესაბამისი გადაწყვეტილებების მითითებით (ნომერი, თარიღი) | | | | | | | | |

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ**[2]

შეფასებული სათაურები შეესაბამება აუდიოვიზუალურ მარკერს. ხუთი საბაკალავრო, ორი სამაგისტრო და ერთი სადოქტორო პროგრამა ერთმანეთთან დაკავშირებულია. ხელახალი აკრედიტაციის ჯგუფი გაეცნო თვითშეფასების ანგარიშს და თანდართულ დოკუმენტებს, ასევე დამადასტურებელ მტკიცებულებებსა და დოკუმენტაციას. ამის საფუძველზე, ხელახალი აკრედიტაციის ჯგუფმა ჩაატარა ონლაინ შეხვედრა 2023 წლის სექტემბერში, რათა განეხილათ ძირითადი საკითხები, ადგილზე ვიზიტის მოსამზადებლად.

**აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი 11 სექტემბრიდან 14 სექტემბრის ჩათვლით გაიმართა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში (კორპუსი 1).

ოთხი დღის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფმა გამართა შეხვედრები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფის წევრებთან, რვა პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან და მოწვეულ ლექტორებთან, ხარისხის უზრუნველყოფის ოფისის წარმომადგენლებთან.

მოვინახულეთ დაწესებულების ორი შენობა და ბიბლიოთეკა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან გაიმართა დამატებითი შეხვედრა, ბოლო დღის საკითხების განსახილველად. ეს შეხვედრა ექსპერტთა ჯგუფისთვის ინფორმატიული აღმოჩნდა. ეს შეფასება გამიზნულია, რომ იყოს გზამკვლევი მუდმივი გაუმჯობესებისთვის. ექსპერტთა ჯგუფს სურს მიულოცოს და დააფასოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაწეული შრომა, მტკიცებულებების თავმოყრის კუთხით.

ანალოგიურად, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ შეფასებამ ჩაიარა ნორმალურად და ყველა პროგრამამ მიიღო ხელახალი აკრედიტაცია.

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები ქვემოთ არის ჩამოთვლილი.

ადგილზე ვიზიტმა აბსოლუტურად ნორმალურად ჩაიარა, ყოველგვარი ინციდენტის გარეშე. უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდა ყველა საჭირო მტკიცებულება და გაფანტა ყოველდღიურად წარმოშობილი ეჭვები.

ზოგიერთი შეხვედრის ჰიბრიდულმა ფორმატმა (ონლაინ და ადგილზე დასწრება), მნიშვნელოვნად გაამდიდრა შეფასების პროცესი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

შეფასებისთვის წარდგენილმა რვა პროგრამამ გაიარა ხელახალი აკრედიტაცია. რვა საგანმანათლებლო პროგრამის მდგომარეობის შეფასება მთლიანობაში დადებითი იყო. ყველა პროგრამა ძირითადად მეტ-ნაკლებად შეესაბამება მოთხოვნებს. ყველა პროგრამა შესაბამისობაშია შემდეგ სტანდარტებთან:
1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 4 სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 5 სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი

- **რეკომენდაციები:**
- რეკომენდებულია, კინორეჟისურის საბაკალავრო პროგრამაში ტექნიკური უზუსტობის გამოსწორება.

---

[2]პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

- რეკომენდებულია, ტელერეჟისურის საბაკალავრო პროგრამაში ტექნიკური უზუსტობის გამოსწორება.
- რეკომენდებულია, ხმის რეჟისურის საბაკალავრო პროგრამაში ტექნიკური უზუსტობის გამოსწორება.
- რეკომენდებულია, კინო-ტელე ოპერატორის საბაკალავრო პროგრამაში ტექნიკური უზუსტობის გამოსწორება.
- რეკომენდებულია, კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, სტუდენტებისთვის დარგობრივი პრაქტიკის მიწოდების მიზნით, უნივერსიტეტმა განაახლოს/განავითაროს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან, უმაღლესი განათლების პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად.
- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა კინო-ტელე ოპერატორის პროგრამაში იყოს ერთზე მეტი, რაც აუცილებელია როგორც პროგრამის განხორციელების მდგრადობისთვის, ასევე ხელმძღვანელის შერჩევის შესაძლებლობისთვის.
- რეკომენდებულია გაძლიერდეს სამუშაოები ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით; გაიზარდოს პერსონალის ჩართვა საერთაშორისო შემოქმედებით და სამეცნიერო პროექტებში - საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობისა და პროფესიული უნარების განვითარების მიზნით.
- რეკომენდებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შეიმუშაოს თანხების მოზიდვის სტრატეგია და დაფინანსების ახალი მეთოდი, რომელიც გაამრავალფეროვნებს შემოსავალს, დამატებითი რესურსების შესაძენად.
- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა მოაწყოს უფრო ფორმალური ტრენინგი პროგრამის ხელმძღვანელებისთვის და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის. რათა გაიზარდოს მათი კომპეტენცია სასწავლო გეგმებისა და სილაბუსების შეცვლის მიმართულებით. შედეგად, გაიზრდება თანამშრომლობის ხარისხი პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.
- იმისათვის, რომ ხელი შეუწყოთ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და მიაღწიოთ მთავარ მისიას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, ასევე უნდა შექმნას მოწინავე ინსტრუმენტები იმისათვის, თუ როგორ უზრუნველყოს აკადემიური კეთილსინდისიერება და სადოქტორო პროგრამის მაღალი ხარისხი.
- რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააკონტროლოს, რომ ყველა დაინტერესებულმა პირმა მიიღოს შეფასების შედეგები.
- რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა შექმნას პროგრამის გარე შეფასების სტრატეგია და დაეხმაროს უნივერსიტეტს საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში კოლეგიალური შეფასების მიღებაში კლასტერის თითოეული პროგრამისათვის.

- **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

  - სასურველია, საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურების/სპეციალობის/უცხო ენის გამოცდის მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის წარდგენა კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებში.
  - სასურველია, რომ სწორად მიუთითოთ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.
  - სასურველია უნივერსიტეტმა დანერგოს საერთაშორისო პროექტების შესახებ სტუდენტების ინფორმირების მექანიზმები და გააძლიეროს საერთაშორისო პროექტებში სტუდენტების ჩართულობა.
  - გააუმჯობესეთ სტუდენტური ელექტრონული სისტემა უკეთესი მოხმარებისა და შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის

- მიზანშეწონილია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შექმნას მსგავსი პროგრამების შედარებითი ანალიზი კლასტერში განხილული ყველა პროგრამისთვის. ასევე, შედარებითი ანალიზი არ შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას მსგავსების, განსხვავებებისა და პროგრამის მომავალი განვითარების შესახებ.
- ბიუჯეტი უნდა გაიზარდოს აუდიოვიზუალური მასალის მიწოდების განახლების მიზნით, რათა სტუდენტებს წვდომა ჰქონდეთ მუდმივად განახლებულ ტექნოლოგიებთან, რომლებსაც გამოიყენებენ სწავლის ყველაზე პრაქტიკული შედეგებისთვის. სასურველია, უსდ-მ სტუდენტები წაახალისოს, შექმნან სინერგია ერთმანეთში თავიანთი აუდიოვიზუალური შემოქმედებისთვის, განსაკუთრებით რეჟისურის ზაკალავრიატის და მაგისტრატურის მიმართულებით.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[3]

-საბოლოოდ, სტუდენტები სწავლის შედეგებსა და პროგრამით დასახულ მიზნებს აღწევენ, თუმცა უნდა გაიუმჯობესონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც ნორმალურია ამ ტიპის სწავლაში. პრაქტიკული უნარების სრულყოფილად შეძენა ხდება პირველ სამსახურში ან სხვა ლოკაციებზე.
სტუდენტები ირჩევენ ამ უნივერსიტეტს სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე სწავლის გასაგრძელებლად. ეს ჯანსაღი ნიშანია.
-განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ ანიმაციის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კმაყოფილება.
- კეთილმოწყობა, მართალია მუდმივ განახლებას საჭიროებს, თუმცა ემსახურება სტუდენტების თეორიული და პრაქტიკული უნარების შეძენას და განვითარებას.
-სტუდენტები ძალიან კმაყოფილები არიან ახალგაზრდა ლექტორებით.
-უნივერსიტეტი ფინანსურად უჭერს მხარს აუდიოვიზუალურ პროექტებს, რომლებიც კონკურენტულია საერთაშორისო დონეზე.
- დამსაქმებლები ეტაპობრივად კმაყოფილნი არიან სტუდენტებით ან მათ მიერ დასაქმებული კურსდამთავრებულებით. უნივერსიტეტს დამსაქმებლები ჩართული ჰყავს პროგრამების განახლებაში და ითვალისწინებს მათ აზრს.
- ლექტორები ამაყობენ სტუდენტებით და მათი ნამუშევრებით. ეს მისალოცია.

## ▪ ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა შეძლო ყველა პროგრამიდან შესაბამისი ინფორმაციის მიღება. ზოგიერთ შემთხვევაში ჯგუფს შეექმნა პრობლემა თვითშეფასებაში კონკრეტული პროგრამების ინგლისური ვერსიების წვდომასთან დაკავშირებით, რადგან ისინი არ იყო ხელმისაწვდომი. რაც შეეხება დანარჩენს, და ამ ინფორმაციის გასწორების შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა შეძლო თითოეული სათაურის ერთობლივი და ინდივიდუალური თვითშეფასების წაკითხვა, სადაც მითითებული იყო შეხედულებები ძლიერ მხარეებზე და გაუმჯობესების მიმდინარე

[3] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის.

ქმედებებზე. დაწესებულებაში ვიზიტის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა დაამოწმა, რომ უსდ-ს მიერ თვითშეფასებაში გაკეთებული შეფასებები რეალობას შეესაბამება.

ექსპერტთა ჯგუფს ბევრი სირთულე შეექმნა ხარისხის კვლევებისა და მათი შედეგების შესაბამისი გაუმჯობესების გეგმების შესახებ ინფორმაციის მოპოვებაში. ვიზიტის დროს მან ასევე დაინახა ის დატვირთვა და პასუხისმგებლობა, რაც აკისრია ხარისხის უზრუნველყოფის ოფისს. ამ მიზეზით, ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია, რომ "ყველა დაინტერესებული მხარე უნდა ჩაერთოს და მეტი მხარი დაუჭიროს ხარისხის უზრუნველყოფის ოფისის მუშაობას. კავშირი ხარისხის უზრუნველყოფის ოფისსა და პროგრამების ხელმძღვანელებს შორის უნდა იყოს უფრო ძლიერი და მოქნილი. კმაყოფილების კვლევები, რომელიც უნდა შეავსოს ყველა დაინტერესებულმა მხარემ, უნდა იყოს სასარგებლო და ასახავდეს, რომ ის ემსახურება სიტუაციის გაუმჯობესებას. ყველა ჯგუფი უნდა იყოს ინფორმირებული მათი შედეგებისა და გაუმჯობესების გეგმების შესახებ, რომლებიც განხორციელდება ამ კვლევების შედეგად. გამოკითხვები და გაუმჯობესების გეგმის მიზნები უნდა იყოს კონკრეტული თითოეული პროგრამისთვის; ასევე, ხელმისაწვდომი ვებგვერდზე და სხვა საკომუნიკაციო არხებზე. ასევე რეგულარულად უნდა იყოს ინფორმირებული სტუდენტური საბჭო“.

ექსპერტთა ჯგუფს გაუჭირდა ინფორმაციის მოპოვება თითოეული პროგრამისთვის პედაგოგთა სრული შემადგენლობის შესახებ. ამ მიზეზით, მან აღნიშნული საკითხი გამოიკითხა თითოეული პროგრამის ხელმძღვანელთან და პედაგოგებთან. მათ ვერ შეძლეს თითოეული პროგრამის წევრთა რაოდენობისთვის ზუსტი ციფრის მოყვანა. ამ მიზეზით, ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია „გაუმჯობესდეს საინფორმაციო პროცესები თითოეული პროგრამის სამუშაო ძალის შემადგენლობის შესახებ და ის მუდმივად განახლდეს“.

შენიშვნა: ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ შეხვედრების დროს დაფიქსირდა ერთმანეთთან სხვადასხვა რეალობა, რომელიც ერთმანეთთან კავშირში არაა. ამიტომ, წახალისებულია ჯგუფებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება.

თვითშეფასების ანგარიშში მითითებულ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით („აუდიოვიზუალური რეჟისურა“) ცვლილება განხორციელდა აუდიოვიზუალური ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს გადაწყვეტილებით (31.03.2023) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით (#17/ნ-27.07.2023). ცვლილება შევიდა #69/ნ-10.04.2019 ბრძანებაში - „სწავლის სფეროების კლასიფიკატორი“ - დეტალური სფეროს ფორმულირება: 0211.1.3 რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი,ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე) Directing (fictional film, documentary film, video clip, animated film, sound, TV) შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: 0211.1.3. აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე) Audiovisual Directing (fictional film, documentary film,video clip, animated film, sound, TV).

შესაბამისი ცვლილებების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაცია იქნება:

**პროგრამა 1:** მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** აუდიოვიზუალური რეჟისურის ბაკალავრი

**პროგრამა 2:** ტელერეჟისურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** აუდიოვიზუალური რეჟისურის ბაკალავრი

**პროგრამა 3:** ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიები

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** აუდიოვიზუალური რეჟისურის ბაკალავრი

**პროგრამა 4:** ხმის რეჟისურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** აუდიოვიზუალური რეჟისურის ბაკალავრი

**პროგრამა 5:** კინო-ტელე ოპერატორი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** საოპერატორო ხელოვნების ბაკალავრი

**პროგრამა 6:** აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე)

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** აუდიოვიზუალური რეჟისურის მაგისტრი

**პროგრამა 7:** კინო-ტელე ოპერატორი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** საოპერატორო ხელოვნების მაგისტრი

**პროგრამა 8:** აუდიოვიზუალური ხელოვნება

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** აუდიოვიზუალური ხელოვნების დოქტორი.

**ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

უსდ-მ დაიცვა ტრადიცია და სიძლიერე ამ 8 პროგრამისა, რაც ისწავლება საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც 1976 წელს დაარსდა.

ამ პროგრამებმა აკრედიტაცია 2012 წელს გაიარა. აუდიოვიზუალური ხელოვნების ცვალებადი ბუნება ყოველწლიურად მოითხოვს მუდმივ განახლებას.

ამ პროგრამებით უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს შეიძინოს ბაკალავრიატის, უაღრესად პრაქტიკული და სამაგისტრო და სადოქტორო ცოდნა, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან და სასიცოცხლო თეორიულ დატვირთვას, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ტექნიკით.

შეინიშნება აუდიოვიზუალური აღჭურვილობის განახლებისა და მოდერნიზაციის მცდელობები, თუმცა სამუშაოები უნდა გაგრძელდეს.

ასევე, ძალიან დასაფასებელია ის გზა, რომელიც იხსნება პროგრამების ინტერნაციონალიზაციისთვის. გარდა ამისა, ინდუსტრიის პარტნიორებთან თანამშრომლობის ხელშეწყობამ და სტუდენტების პრაქტიკული გამოცდილების მიწოდებამ შეიძლება გაზარდოს პროგრამის აქტუალობა და მისი კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობები.

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[4]
2. კლასტერული შეფასება[5]

| სტანდარტი/კომპონენტი | შეფასების მიდგომები: |
|---|---|
| **1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** | |
| 1.1. პროგრამის მიზნები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | კლასტერული |
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** | |
| 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | კლასტერული |
| 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები | კლასტერული |
| 2.4. სტუდენტის შეფასება | კლასტერული |
| **3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა** | |
| 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | კლასტერული |
| 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | კლასტერული |

[4] **შეფასების მიდგომები**: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[5] **შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

| | |
|---|---|
| **4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა** | |
| 4.1. ადამიანური რესურსები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | კლასტერული |
| 4.4. მატერიალური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4,5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი** | |
| 5.1. შიდა ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.2. გარე ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | კლასტერული |

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

კლასტერში საგანმანათლებლო პროგრამებს აქვს მკაფიო მიზანი, რომელიც შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. ისინი ორიენტირებულია ხელოვნების სფეროების განვითარებასა და კვლევაზე, ასევე ხელოვნების ინდუსტრიაში მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა და პროფესიონალების მომზადებაზე.

თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა ასახავს თავის კონკრეტულ მიზნებს, რაც მოიცავს დარგობრივი ცოდნის, პრაქტიკული/შემოქმედებითი უნარებისა და ზოგადი კომპეტენციების მქონე კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას. ეს მიზნები ემთხვევა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნას პროგრამის მკაფიოდ განსაზღვრულ მიზნებზე, რომლებიც პასუხობენ შრომის ბაზრის საჭიროებებს.
კლასტერი მოიცავს პროგრამების მრავალფეროვან სპექტრს აუდიოვიზუალურ ხელოვნებაში, რეჟისურაში, ხმის რეჟისურასა და ვიდეო-ოპერატორობაში, რომელიც მოიცავს როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის დონეებს. პროგრამები ხაზს უსვამს როგორც პრაქტიკულ, ასევე თეორიულ ცოდნას, რაც უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულები კარგად იყვნენ მომზადებულნი თავიანთი სფეროსთვის.

თვითშეფასების ანგარიში ხაზს უსვამს კურსდამთავრებულების მომზადებას საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის, გლობალური შესაბამისობისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის ერთგულების დემონსტრირებას, რაც ხელსაყრელი ასპექტია. მაგრამ ამჟამინდელი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინტერვიუებიდან გამომდინარე, საჭიროა ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება და გაცვლითი პროგრამების ახალი შესაძლებლობების დანერგვა.

სადოქტორო პროგრამა ხაზს უსვამს აკადემიური კულტურის განვითარებას, მკვლევართა პროფესიული წიგნიერებისა და პედაგოგიური უნარების განვითარებას, სწავლების ხარისხზე სტანდარტის აქცენტის შესაბამისობას.

საერთო ჯამში, თვითშეფასების ანგარიშსა და სასწავლო გეგმებში მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები აჩვენებს ძლიერ შესაბამისობას უნივერსიტეტის მისიასთან და, როგორც ჩანს, აქვს კარგად განსაზღვრული მიზნები, რომლებიც შეესაბამება სტანდარტის მოლოდინებს.

#### აღწერა და ანალიზი პროგრამა 1 ("მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურა“, საბაკალავრო პროგრამა)[6]

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, "მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურის“ საბაკალავრო პროგრამა, მიზნად ისახავს მხატვრული და დოკუმენტური ფილმების გადაღების მცოდნე რეჟისორების გამოშვებას. პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რომელიც ორიენტირებულია ხელოვნების სხვადასხვა სფეროში შემოქმედებითობისა და გამოცდილების ხელშეწყობაზე .

პროგრამის მთავარი მიზნები მოიცავს;
კინოხელოვნების სპეციალისტების განათლება: უპირველესი მიზანია კინორეჟისორების აღზრდა შემოქმედებითი უნარებით, რათა გამოირჩეოდნენ კინოწარმოების სხვადასხვა სეგმენტში, რომელიც მოიცავს მხატვრულ და დოკუმენტურ სფეროებს.

---

[6] აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კონკრეტული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.
გთხოვთ, გაიმეოროთ აღწერილობისა და ანალიზის ველი პროგრამების რაოდენობის მიხედვით, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელი, საფეხური), პროგრამა 3 (სახელი, საფეხური) და ა.შ. (გთხოვთ, გაითვალისწინოთ მითითების ეს ფორმატი ყოველი მომდევნო კომპონენტის შეფასებისას).

პრაქტიკული და თეორიული ცოდნა: პროგრამის მიზანია სტუდენტებს შეუქმნას მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურის პრაქტიკული და თეორიული ასპექტების ცოდნის მყარი საფუძველი. იგი ხაზს უსვამს ინდუსტრიის რთული საკითხების გააზრების მნიშვნელობას და თეორიული შეხედულებების გამოყენებას რეალური სამყაროს სცენარებში.
მხატვრულ-შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა: პროგრამის ცენტრალური ნაწილია სტუდენტების უნარის განვითარება მხატვრული და შემოქმედებითი ნამუშევრების შემუშავებაში, რომელიც მოიცავს მხატვრულ ფილმებს და დოკუმენტურ ფილმებს.
ორიენტირება გლობალურ კინოზე: პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს რეჟისორები, რომლებსაც შეუძლიათ წარმატებას მიაღწიონ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კინოწარმოებებში. ეს მიზანი ხაზს უსვამს პროგრამის ვალდებულებას აღზარდოს სტუდენტები საჭირო პროფესიული უნარებით, თეორიული ცოდნით და ადაპტირებით უფრო ფართო გლობალური კინოინდუსტრიისთვის.
პროგრამაში ჩანს მკაფიო შესაბამისობა სტანდარტის მოთხოვნებთან, იგი ინარჩუნებს კარგად განსაზღვრულ მისიას და მიზნებს, რომლებიც შეესაბამება უნივერსიტეტის უფრო ფართო მიზნებს. ის ყურადღებას ამახვილებს პრაქტიკულ უნარებზე, თეორიულ გაგებაზე და მხატვრული პროდუქტების შექმნაზე, რაც სტუდენტებს დინამიური კინოინდუსტრიის კარიერისთვის ეფექტურად ამზადებს.

მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, პროგრამამ პერიოდულად უნდა განიხილოს და განაახლოს თავისი სასწავლო გეგმა, ხელი შეუწყოს მძლავრ ინდუსტრიულ კავშირებს სტუდენტური შესაძლებლობებისთვის, დაამყაროს ეფექტური შეფასების და უკუკავშირის მექანიზმები და ინვესტიცია ჩადოს ფაკულტეტის განვითარებაში. ეს ნაბიჯები უზრუნველყოფს პროგრამის მუდმივ შესაბამისობას და სრულყოფას კინორეჟისურის მუდმივად განვითარებად სამყაროში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- "მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურის" საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ლექტორებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები.
- საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია.
- შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
- სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვის წესები
- 2023-2024 სასწავლო წელს - ბაკალავრიატის აკადემიურ საფეხურზე მიღების წესი

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 („ტელერეჟისურა", საბაკალავრო პროგრამა ):

მოცემული საგანმანათლებლო პროგრამა ავლენს ძლიერ შესაბამისობას უნივერსიტეტის მისიასთან, რომელიც ორიენტირებულია ხელოვნების სხვადასხვა სფეროს განვითარებასა და კვლევაზე. მისი მიზნები

კარგად არის სტრუქტურირებული და შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, რაც შეფასებულია თვითშეფასების ანგარიშის (SER) და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების მეშვეობით.

პროგრამის მთავარი მიზანია მოამზადოს კომპეტენტური ტელე-რეჟისორები, რომლებიც ფლობენ დარგობრივი ექსპერტიზისა და უფრო ფართო კომპეტენციების ნაზავს. ეს პრაქტიკული ცოდნა უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულები კარგად არიან მომზადებულნი სატელევიზიო მაუწყებლობისა და აუდიოვიზუალური ხელოვნების პროდუქტების შესაქმნელად, რაც ხელს უწყობს მათი პროფილით დასაქმებას.

სატელევიზიო რეჟისურის დარგში გამოცდილი პროფესიონალების აღზრდაზე აქცენტის გაკეთება, იდეალურად პასუხობს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგად მიზნებს.

გარდა ამისა, პროგრამა აღიარებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. გარდა ამისა, პროგრამა ცდილობს კურსდამთავრებულები შეაიარაღოს სატელევიზიო რეჟისურის სიღრმისეული ცოდნით, პროდიუსერის როლებით სატელევიზიო სივრცეში და ვიდეო ხელოვნებასთან დაკავშირებული სფეროების გამორჩეული ასპექტებით. ეს მრავალმხრივი მიდგომა გაძლიერებულია ციფრული ტექნოლოგიებისა და თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების ჩართვით, რაც აუცილებელი ინსტრუმენტებია მაღალმხატვრული სატელევიზიო ნაწარმის შესაქმნელად.

პროგრამის ერთგულება პროფესიული უნარების განვითარებისადმი, ანალიტიკური აზროვნების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სტანდარტების დაცვისადმი მას ღირებულ საგანმანათლებლო გზად პოზიციონირების შესაძლებლობას აძლევს. ეს უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულები ფლობენ არა მხოლოდ საჭირო უნარებს, არამედ აკმაყოფილებენ მსოფლიო ინდუსტრიის კრიტერიუმებს და მოლოდინებს.

საბოლოო ჯამში, პროგრამა ეფექტურად აკმაყოფილებს სტანდარტების მოთხოვნებს და შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. მისი მუდმივი ეფექტურობის გასაზრდელად, პროგრამამ უნდა გაამახვილოს ყურადღება ინდუსტრიის ტენდენციების მიმდინარეობაზე, ინდუსტრიული კავშირების გაძლიერებაზე, უკუკავშირის შეგროვებაზე უწყვეტი გაუმჯობესებისთვის და მის სასწავლო გეგმაში საერთაშორისო პერსპექტივების ჩართვაზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "ტელერეჟისურა"
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ლექტორებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები.
- საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია.
- შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
- სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვის წესები
- 2023-2024 სასწავლო წელს - ბაკალავრიატის აკადემიურ საფეხურზე მიღების წესი

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიები, ბაკალავრიატი)** საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა "ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიების" მიზნები სრულყოფილად ჰარმონიაშია უნივერსიტეტის ყოვლისმომცველ მისიასთან, რომ განავითაროს და შეისწავლოს სხვადასხვა მხატვრული დარგები. ის მიზნად ისახავს ანიმაციური ფილმების გამოცდილი რეჟისორების ჩამოყალიბებას სპეციალიზებული და ზოგადი კომპეტენციების შერწყმით, რაც სრულად შეესაბამება დაწესებულების ფართო მიზნებს.

პროგრამის მთავარი მიზანია მოამზადოს ანიმაციური ფილმების რეჟისორები, რომლებსაც შეუძლიათ ნავიგაცია კინოსა და მედია წარმოების სხვადასხვა სეგმენტში, გამოიყენონ თავიანთი შემოქმედებითი ნიჭი ინდუსტრიაში წარმატების მისაღწევად. პროგრამა დიდ აქცენტს აკეთებს ანიმაციური ფილმების რეჟისურაში სტუდენტების აღჭურვაზე როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული ცოდნით. პროგრამა ცდილობს უზრუნველყოს თეორიული ცნებების პრაქტიკულ გამოყენებად გარდაქმნის ძირითადი უნარები, მათ შორის მხატვრული და შემოქმედებითი ნაწარმის შექმნისა, როგორიცაა ანიმაციური ფილმები. გარდა ადგილობრივი ორიენტაციისა, პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულების მომზადებას საერთაშორისო კინოწარმოების სფეროსთვის. ის უზრუნველყოფს სტუდენტებს პროფესიული უნარებით, აძლევს მათ საფუძვლიან თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას და შესაბამისი სფეროების გააზრების შესაძლებლობას. პროგრამა ეფექტურად შეესაბამება სტანდარტებს და უნივერსიტეტის მისიას.

საერთო ჯამში, პროგრამა ეფექტურად შეესაბამება სტანდარტებს და უნივერსიტეტის მისიას. მისი მუდმივი ეფექტურობის გასაძლიერებლად, პრიორიტეტად უნდა დარჩეს ტექნოლოგიების განახლება, ინდუსტრიასთან აქტიური ჩართულობა და უკუკავშირის ძიება გაუმჯობესების მიზნით.

სასურველია, კურიკულუმის განუწყვეტლივ განახლება, რათა აისახოს უახლესი მიღწევები ანიმაციასა და მასთან დაკავშირებულ ტექნოლოგიებში. სასურველია ხელი შეუწყოთ მჭიდრო კავშირებს ანიმაციის ინდუსტრიასთან, პარტნიორობისა და სტაჟირების გზით, რათა შეინარჩუნოთ პროგრამის მუდმივი აქტუალობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიები“
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ლექტორებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები.
- საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია.
- შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
- სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვის წესები

- 2023-2024 სასწავლო წელს - ბაკალავრიატის აკადემიურ საფეხურზე მიღების წესი
- .

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 4 (ხმის რეჟისურა, ბაკალავრიატი)

პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რომელიც ორიენტირებულია ხელოვნების მრავალფეროვანი დარგების განვითარებასა და კვლევაზე. იგი შექმნილია მაღალკვალიფიციური ხმის რეჟისორების მოსამზადებლად, სპეციალიზებული და ზოგადი კომპეტენციების შერწყმით, რაც იდეალურად ერგება უნივერსიტეტის უფრო ფართო მიზნებს.
პროგრამა მიზნად ისახავს ხმის რეჟისორების მომზადებას, რომლებიც აღჭურვილნი არიან საიმისოდ, რომ გაუმკლავდნენ კინოწარმოების სხვადასხვა განზომილებებს. კურსდამთავრებულებმა უნდა გამოიყენონ თავიანთი შემოქმედებითი ნიჭი მხატვრულ, დოკუმენტურ და ანიმაციურ ფილმებში.
პროგრამა ხაზს უსვამს სტუდენტების აღჭურვას როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული ცოდნით ხმის რეჟისურის საფუძვლებში. ის უზრუნველყოფს ფუნდამენტურ უნარებს, რომლებიც სტუდენტებს შეუძლიათ ადვილად გამოიყენონ რეალურ სამყაროში არსებულ გამოწვევებზე რეაგირებისას.
პროგრამა ისწრაფვის იმისკენ, რომ განათლება მისცეს ხმის რეჟისორებს, რომლებსაც შეუძლიათ წვლილი შეიტანონ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კინო და სატელევიზიო წარმოების სივრცეში. კურსდამთავრებულებს უნდა ჰქონდეთ პროფესიული უნარები, მყარი თეორიული და პრაქტიკული საფუძველი აუდიოვიზუალურ და მასთან დაკავშირებულ სფეროებში და მზადყოფნა ჩაერთონ კინო-სატელევიზიო წარმოებაში, შექმნან აუდიო კონტენტი სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტისთვის.

"ხმის რეჟისურის" პროგრამა ეფექტურად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და უნივერსიტეტის მისიას. მუდმივი ეფექტურობის გასაზრდელად, ყურადღება უნდა გაამახვილოთ ტექნოლოგიის მუდმივ განახლებაზე, ინდუსტრიასთან აქტიურად ჩართვაზე და უკუკავშირის რეგულარულად მიღებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- "ხმის რეჟისურის" საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ლექტორებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები.
- საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია.
- შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვის წესები
- 2023-2024 სასწავლო წელს - ბაკალავრიატის აკადემიურ საფეხურზე მიღების წესი

.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 ("კინო-ტელე ოპერატორის" საბაკალავრო პროგრამა) კინო-ტელე ოპერატორის საბაკალავრო პროგრამის მიზნები შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის უფრო ფართო მიზანს და მისიას, რომ განავითაროს და შეისწავლოს სხვადასხვა მხატვრული დარგები. პროგრამის უპირველესი მიზანია, გამოუშვას კარგად კვალიფიცირებული კინო-ტელე ოპერატორები, რომლებიც ფლობენ სპეციალიზებული და ზოგადი კომპეტენციების ნაზავს.

პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, აღჭურვავს რა პროფესიონალებს ძლიერი საფუძვლებით კინო-ტელე ოპერატორის საფუძვლებში, მათთან დაკავშირებულ პროფესიებსა და ხელოვნების უფრო ფართო სფეროებში. კურსდამთავრებულების მოსალოდნელია, რომ ჩაერთვებიან კინოსა და სატელევიზიო ინდუსტრიის პრაქტიკულ და შემოქმედებით საქმიანობაში, გადამღებ ჯგუფთან თანამშრომლობით და გარდაქმნიან რეჟისორის ხედვას ვიზუალურ რეალობად.
პროგრამა უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულებმა გაიგონ კინოსა და მედია სივრცეში მუშაობის პრინციპები, აღიარონ კინოხელოვნებისა და მასთან დაკავშირებული პროფესიების სპეციფიკური მახასიათებლები და დაეუფლონ თანამედროვე ციფრულ ტექნიკას, ტექნოლოგიებს და კომპიუტერულ პროგრამებს. ეს უნარები აუცილებელია ვიზუალურად მიმზიდველი და მაღალმხატვრული ნაწარმის შესაქმნელად.
პროგრამა შექმნილია პროფესიული უნარების, ანალიტიკური აზროვნების უნარების განვითარებისა და შემოქმედებითი და პროფესიული ნიჭის განვითარებისთვის, ეს ყველაფერი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაშია.
საერთო ჯამში, პროგრამა ეფექტურად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და უნივერსიტეტის მისიას. პროგრამას აქვს მკაფიო მიზნები, ყურადღებას ამახვილებს როგორც თეორიაზე, ისე პრაქტიკაზე.

მუდმივი აქტუალურობის უზრუნველსაყოფად, პროგრამა უნდა იყოს ინფორმირებული ამ სფეროში ტექნოლოგიურ მიღწევებთან დაკავშირებით და აქტიურად ჩაერთოს ინდუსტრიის ტენდენციებთან, რათა სტუდენტებს მიაწოდოს უახლესი ცოდნა და უნარები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

კინო-ტელე ოპერატორის საბაკალავრო პროგრამა
თვითშეფასების ანგარიში;
. ინტერვიუები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ლექტორებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან
· უნივერსიტეტის ვებგვერდი და ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები.
· საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია.
· შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვის წესები
· 2023-2024 სასწავლო წელს - ბაკალავრიატის აკადემიურ საფეხურზე მიღების წესი
2023-2024

აღწერა და ანალიზი პროგრამა 6: "აუდიოვიზუალური რეჟისურის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე)" სამაგისტრო პროგრამა

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "აუდიოვიზუალური რეჟისურის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე)" სამაგისტრო პროგრამა მჭიდროდ შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რომელიც ხაზს უსვამს ხელოვნების ფუნდამენტური დარგების განვითარებასა და კვლევას.
პროგრამის უპირველესი მიზანია, მოამზადოს სპეციალისტები, რომლებსაც შეუძლიათ აუდიოვიზუალური რეჟისურის სირთულეების კრიტიკულად გაანალიზება, თანამედროვე და ტრადიციული მეთოდოლოგიების სინთეზირება და მათი ცოდნის ეფექტურად გამოყენება პრაქტიკულ კონტექსტში. ეს მიზანი კარგად ეხმიანება უნივერსიტეტის უფრო ფართო მისიას, ხელი შეუწყოს ხელოვნების სხვადასხვა სფეროს განვითარებას.
პროგრამის ძირითადი ელემენტების ამოცანაა, მიაწოდოს სტუდენტებს სიღრმისეული შეხედულებები კინოსა და ტელევიზიის განვითარების ეტაპებზე და ტენდენციებზე, მიაწოდოს მყარი საფუძველი შესაბამის თეორიებში, განუვითაროს კრიტიკული აზროვნების უნარები და ხელი შეუწყოს არსებითი პროფესიული და ეთიკური კომპეტენციების განვითარებას. ეს კომპონენტები საჭიროა იმისათვის, რომ სტუდდენტებს ჰქონდეთ დარგის ამომწურავი გაგება და მოემზადონ აუდიოვიზუალური ინდუსტრიის გამოწვევებისთვის.
პროგრამა ხაზს უსვამს მაგისტრანტის მომზადების მნიშვნელობას როგორც შემოქმედებითი საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევისთვის, ასევე პედაგოგიური როლებისთვის. ეს ორმაგი აქცენტი ასახავს უნივერსიტეტის მალისხმევას, რომ გამოუშვას სრულყოფილი კურსდამთავრებულები, რომლებსაც შეუძლიათ, სხვადასხვა გზით, წვლილი შეიტანონ დარგის ზრდაში .
საერთო ჯამში, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიო-ვიზუალური რეჟისურის სამაგისტრო პროგრამა ეფექტურად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

"აუდიოვიზუალური რეჟისურის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე)" სამაგისტრო პროგრამა
თვითშეფასების ანგარიში;
. ინტერვიუები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ლექტორებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან
· უნივერსიტეტის ვებგვერდი და ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები.
· საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია.
· შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვის წესები
2023-2024 სასწავლო წელს მაგისტრატურის საფეხურზე მიღების წესი
.

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 7 ("კინო-ტელე ოპერატორის (თეორია და პრაქტიკა)" სამაგისტრო პროგრამა)

კინო-ტელე ოპერატორის (თეორია და პრაქტიკა)" სამაგისტრო პროგრამა მჭიდროდ შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რომელიც ხაზს უსვამს ხელოვნების ფუნდამენტური დარგების განვითარებასა და კვლევას.

ამ პროგრამის უპირველესი მიზანია მოამზადოს პროფესიონალი და მაღალკვალიფიციური კინო-ტელე ოპერატორები, რომლებსაც შეუძლიათ ეფექტურად მართონ სხვადასხვა კინო და სატელევიზიო პროექტების გადაღებები. ეს მოიცავს მხატვრულ, დოკუმენტურ, ანიმაციურ ტელევიზიას და სხვა აუდიოვიზუალურ ფორმატებს. პროგრამა ფოკუსირებულია, რომ სტუდენტებს საშუალება მისცეს შექმნან ვიზუალური სტრუქტურები თანმიმდევრული და კოგეზიური სტილით, რაც შეესაბამება ინდუსტრიის საჭიროებებსა და მოთხოვნებს.

ამ სამაგისტრო პროგრამის გამორჩეული თვისებაა მისი ორმაგი აქცენტი ამ სფეროში როგორც პრაქტიკოსების, ასევე თეორეტიკოსების მომზადებაზე. კურსდამთავრებულებს უნდა ჰქონდეთ სიღრმისეული და სისტემატური ცოდნა, რომელიც მიიღება უახლესი კვლევის შედეგად კონკრეტულ მეთოდებში, რომლებიც უნიკალურია კინო-ტელე ოპერატორის მუშაობის სფეროში. ეს მიდგომა უზრუნველყოფს სტუდენტების კარგად აღჭურვას, რათა გამოიყენონ თავიანთი ცოდნა პრაქტიკულ გარემოში.

პროგრამა მიზნად ისახავს სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც არა მხოლოდ გამოირჩევიან თავიანთ სფეროში, არამედ აქვთ მყარი თეორიული ცოდნის საფუძველი. ეს მოიცავს კინოხელოვნების, სახვითი ხელოვნებისა და შემოქმედებითი პედაგოგიკის კრიტიკული ასპექტების ცოდნას. ამ თეორიული გამოცდილებით აღჭურვილ კურსდამთავრებულებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ სწავლების პროცესში და წვლილი შეიტანონ მომავალი პროფესიონალების განათლებასა და განვითარებაში.

საერთო ჯამში, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-ტელე ოპერატორის სამაგისტრო პროგრამა ეფექტურად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

მუდმივი აქტუალურობის უზრუნველსაყოფად, პროგრამამ უნდა შეინარჩუნოს დინამიური მიდგომა, მუდმივად ინფორმირებული იყოს კამერასთან მუშაობის და აუდიოვიზუალური ტექნოლოგიების სფეროში მიღწევებზე. გარდა ამისა, ინდუსტრიის პარტნიორებთან თანამშრომლობის ხელშეწყობამ და სტუდენტების პრაქტიკული გამოცდილების მიწოდებამ შეიძლება გაზარდოს პროგრამის აქტუალობა და მისი კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

კინო-ტელე ოპერატორის სამაგისტრო პროგრამა
თვითშეფასების ანგარიში;
. ინტერვიუები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ლექტორებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან
· უნივერსიტეტის ვებგვერდი და ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები.
· საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია.

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 8 (აუდიოვიზუალური ხელოვნების სადოქტორო პროგრამა)

აუდიოვიზუალური ხელოვნების სადოქტორო პროგრამა სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, რომელიც ორიენტირებულია ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარებასა და კვლევაზე. ეს პროგრამა ცენტრალურ როლს ასრულებს უნივერსიტეტის მისიის მხარდაჭერაში.
პროგრამა აქტიურად უწყობს ხელს ხელოვნების სხვადასხვა სფეროს, მათ შორის თეატრის, აუდიოვიზუალური ხელოვნების, ქორეოგრაფიისა და მუსიკის განვითარებას და მდგრადობას. ამ სფეროებში მოწინავე კვლევისა და განათლების ხელშეწყობით, პროგრამას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეროვნულ დონეზე.

პროგრამა მოწოდებულია, მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და პროფესიონალები ხელოვნებაში. სრულყოფილი განათლებისადმი ეს მისწრაფება, უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულები კარგად არიან მომზადებულნი, რათა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ თავიანთ სფეროებში . ის მიზნად ისახავს მკვლევართა პროფესიული წიგნიერების გაღრმავებას, სტუდენტებში ინტელექტუალური კომპეტენციისა და კვლევის უნარების ხელშეწყობას.

პროგრამა ხელს უწყობს ინდივიდუალური-პიროვნული თვისებების და ანალიტიკური უნარების თვითრეალიზებას, რაც დოქტორანტებს საშუალებას აძლევს ხორცი შესხან ინტელექტუალურ მისწრაფებებს და მიაღწიონ თავიანთ პოტენციალს. პროგრამა ასევე ამზადებს დოქტორანტებს ეფექტური პედაგოგიური საქმიანობისთვის. ის ითვალისწინებს სწავლებაში ჩართულ ყველა კომპონენტს, მათ შორის მოტივაციას, ღირებულებებს, შემეცნებით შესაძლებლობებს, კომუნიკაციის უნარებს და კრეატიულობას. ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულები კარგად არიან მომზადებულნი პედაგოგიური როლებისთვის, გარდა მათი კვლევითი საქმიანობისა.
საერთო ჯამში, აუდიოვიზუალური ხელოვნების სადოქტორო პროგრამა შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. ის ხელს უწყობს აკადემიურ და პროფესიულ სრულყოფილებას, უზრუნველყოფს სტუდენტებს უნარ-ჩვევებითა და ცოდნით, რომლებიც საჭიროა ხელოვნების სფეროებში მნიშვნელოვანი წვლილის შესატანად.
მისი აქტუალურობის შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად, პროგრამამ უნდა გააგრძელოს უახლესი კვლევების მხარდაჭერა და აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროში განვითარებადი ტენდენციებისა და წინსვლის ადაპტირება და ციფრული ბიბლიოთეკის შესაძლებლობების გაფართოება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

„აუდიოვიზუალური ხელოვნების სადოქტორო პროგრამა."
თვითშეფასების ანგარიში;
. ინტერვიუები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ლექტორებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან

· უნივერსიტეტის ვებგვერდი და ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები.
· საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია.
· შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვის წესები
2023-2024 სასწავლო წელს დოქტორანტურის საფეხურზე მიღების წესი
·

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

| კომპონენტი<br>1.1 პროგრამის მიზნები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურა ,ბაკალავრიატი | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ტელე-რეჟისურა, საბაკალავრო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 3 - "ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიების" საბაკალავრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4- ხმის რეჟისურა, საბაკალავრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5- "კინო-ტელე ოპერატორის" საბაკალავრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6- "აუდიოვიზუალური რეჟისურის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე)" სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7- კინო-ტელე ოპერატორის სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8- აუდიოვიზუალური ხელოვნების სადოქტორო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

ვიზიტამდე ჩვენთვის მოწოდებულ თვითშეფასების ანგარიშზე და ვიზიტის დროს გამართულ დისკუსიებზე დაყრდნობით, გამოვლინდა, რომ პროგრამების სწავლის შედეგები ლოგიკურად არის შემუშავებული და დაკავშირებულია ვიზუალური ხელოვნების დარგის მოთხოვნებთან.
პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად ჩამოყალიბებულია, შეესაბამება ბაკალავრიატის დონეს და ითვალისწინებს ყველა იმ კომპონენტს, რაც სტუდენტებს სჭირდებათ იმისათვის, რომ გახდნენ უახლესი ცოდნისა და უნარების მქონე პროფესიონალები შემოქმედებით ინდუსტრიაში.
სწავლის შედეგების ფორმულირება იყო ზედმიწევნით განხორციელებული ეტაპობრივი პროცესი და ითვალისწინებდა კონკრეტული დისციპლინის სახასიათო თავისებურებებს. ეს ეტაპობრივი პროცესი ასევე მოიცავდა დაინტერესებული პირების მონაწილეობას, კერძოდ, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და დამსაქმებლებს/გარე შემფასებელს. სწავლის შედეგები აძლევს სტუდენტებს პასუხისმგებლობის გრძნობას, რათა უზრუნველყონ სწავლებისა და სწავლის უწყვეტი პროცესი პროგრამის დამთავრების შემდეგ.

**აღწერა და ანალიზი პროგრამა 1 ("მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურა“, საბაკალავრო პროგრამა)**
აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად ჩამოყალიბებულია, შეესაბამება ბაკალავრიატის დონეს და ითვალისწინებს ყველა იმ კომპონენტს, რაც სტუდენტებს სჭირდებათ იმისათვის, რომ გახდნენ უახლესი ცოდნისა და უნარების მქონე პროფესიონალები შემოქმედებით ინდუსტრიაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

o თვითშეფასების ანგარიში
ადგილზე ვიზიტი
უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 („ტელერეჟისურა“, საბაკალავრო პროგრამა ): აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად ჩამოყალიბებულია, შეესაბამება ბაკალავრიატის დონეს და ითვალისწინებს ყველა იმ კომპონენტს, რაც სტუდენტებს სჭირდებათ იმისათვის, რომ გახდნენ უახლესი ცოდნისა და უნარების მქონე პროფესიონალები შემოქმედებით ინდუსტრიაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

o თვითშეფასების ანგარიში
ადგილზე ვიზიტი
უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიები, ბაკალავრიატი)

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად ჩამოყალიბებულია, შეესაბამება ბაკალავრიატის დონეს და ითვალისწინებს ყველა იმ კომპონენტს, რაც სტუდენტებს სჭირდებათ იმისათვის, რომ გახდნენ უახლესი ცოდნისა და უნარების მქონე პროფესიონალები შემოქმედებით ინდუსტრიაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o თვითშეფასების ანგარიში
- o ადგილზე ვიზიტი
- o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 4 (ხმის რეჟისურა, ბაკალავრიატი)

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად ჩამოყალიბებულია, შეესაბამება ბაკალავრიატის დონეს და ითვალისწინებს ყველა იმ კომპონენტს, რაც სტუდენტებს სჭირდებათ იმისათვის, რომ გახდნენ უახლესი ცოდნისა და უნარების მქონე პროფესიონალები შემოქმედებით ინდუსტრიაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

o თვითშეფასების ანგარიში
ადგილზე ვიზიტი
უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 ("კინო-ტელე ოპერატორის" საბაკალავრო პროგრამა)
აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად ჩამოყალიბებულია, შეესაბამება ბაკალავრიატის დონეს და ითვალისწინებს ყველა იმ კომპონენტს, რაც სტუდენტებს სჭირდებათ იმისათვის, რომ გახდნენ უახლესი ცოდნისა და უნარების მქონე პროფესიონალები შემოქმედებით ინდუსტრიაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

o თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 "აუდიოვიზუალური რეჟისურის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე)" სამაგისტრო პროგრამა

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად ჩამოყალიბებულია, შეესაბამება მაგისტრატურის დონეს და ითვალისწინებს ყველა იმ კომპონენტს, რაც სტუდენტებს სჭირდებათ იმისათვის, რომ გახდნენ უახლესი ცოდნისა და უნარების მქონე პროფესიონალები შემოქმედებით ინდუსტრიაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

o თვითშეფასების ანგარიში
ადგილზე ვიზიტი
უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 7 ("კინო-ტელე ოპერატორის (თეორია და პრაქტიკა)" სამაგისტრო პროგრამა)

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად ჩამოყალიბებულია, შეესაბამება მაგისტრატურის დონეს და ითვალისწინებს ყველა იმ კომპონენტს, რაც სტუდენტებს სჭირდებათ იმისათვის, რომ გახდნენ უახლესი ცოდნისა და უნარების მქონე პროფესიონალები შემოქმედებით ინდუსტრიაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

o თვითშეფასების ანგარიში
ადგილზე ვიზიტი
უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 8 (აუდიოვიზუალური ხელოვნების სადოქტორო პროგრამა)

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად ჩამოყალიბებულია, შეესაბამება დოქტორანტურის დონეს და ითვალისწინებს ყველა იმ კომპონენტს, რაც სტუდენტებს სჭირდებათ იმისათვის, რომ გახდნენ უახლესი ცოდნისა და უნარების მქონე პროფესიონალები შემოქმედებით ინდუსტრიაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურა, ბაკალავრიატი | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ტელე-რეჟისურა, საბაკალავრო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 - "ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიების" საბაკალავრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 ( ხმის რეჟისურა, საბაკალავრო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5- "კინო-ტელე ოპერატორის" საბაკალავრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6- "აუდიოვიზუალური რეჟისურის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე)" სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7- კინო-ტელე ოპერატორის სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8- აუდიოვიზუალური ხელოვნების სადოქტორო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი **განსაზღვრულია.** პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი შედგება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრისგან, შეგროვებისა და ანალიზისგან.
➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

„საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მექანიზმის" ნორმატიული დოკუმენტის მიხედვით, უნივერსიტეტმა განმარტა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირების მეთოდი და შემდგომი სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებით, შესაძლებელია სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება, ასევე რეგულარულად შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით, პროგრამის გასაუმჯობესებლად გადაწყვეტილებების მიღება.

კლასტერს აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სასწავლო შედეგისთვის; ტარდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და კრიტერიუმებთან შედარება.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, ხდება დადგენილი პერიოდულობით. მაგალითად, სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასება და სასწავლო კურსების (მასწავლებლების) შეფასება - სემესტრული პრინციპით; აკადემიური პერსონალის სასწავლო/სამეცნიერო/შემოქმედებითი საქმიანობის შესახებ ანგარიშების წარდგენა – ყოველწლიურად; კურსდამთავრებულთა გამოკითხვა და ბაზრის კვლევა (დამსაქმებელთა მოთხოვნების განსაზღვრა) - 3-5 წელიწადში ერთხელ და ა.შ. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები მოიცავს როგორც პირდაპირ, ასევე ირიბ მეთოდებს: პირდაპირი შეფასების მეთოდები ამოწმებს, მიაღწია თუ არა სტუდენტმა პროგრამის სწავლის შედეგს შესრულებული დავალების მეშვეობით. ეს შეიძლება იყოს ტესტი, გამოცდა, ესე, პორტფოლიო, სიმულაცია, აბსტრაქტი, საკურსო ნაშრომი, საკვალიფიკაციო ნაშრომი და ა.შ. არაპირდაპირი შეფასებისთვის გამოიყენება: 1. პროგრამაში მონაწილე სტუდენტების გამოკითხვის შედეგები; 2. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის/მასწავლებელთა/მოწვეული პროფესორების გამოკითხვის შედეგები; 3. პროგრამაში მონაწილე სტუდენტების აკადემიური მოსწრება; 4. პროგრამაში მონაწილე სტუდენტების სხვა პროგრამაზე გადაყვანის მაჩვენებელი; 5. პროგრამაში სწავლის მსურველთა რეგისტრირებული განაცხადების რაოდენობრივი მაჩვენებელი; 6. კურსდამთავრებულის დიპლომის პროგრამის საშუალო ქულა (GPA); 7. გარე ქართველი და უცხოელი ექსპერტების შეფასება (ძირითადად სადოქტორო პროგრამებზე); 8. პროგრამის კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები და მათი დასაქმების ან/და სწავლის გაგრძელების სტატისტიკა.

სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში. პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის. სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი ხდება განსაზღვრული ციკლების მიხედვით.

კურსის სწავლის შედეგების შეფასების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი მეოთხე ეტაპია. მისი მთავარი მიზანია პროცედურების შეფასება და გაუმჯობესება. ამ ფაზის განმავლობაში ხდება მიღწეული შედეგების გაანალიზება, ბენჩმარკინგი მიზნებთან და შემდგომი აქტივობების განხორციელება გეგმის გასაუმჯობესებლად.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას ყველაზე მნიშვნელოვანი მეოთხე ეტაპია. მისი მთავარი მიზანია პროგრამის შეფასება და გაუმჯობესება. ამ ეტაპზე ხდება მიღებული შედეგების ანალიზი, შედეგების იდენტიფიცირება სამიზნე ნიშნულებთან და პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, შემდგომი აქტივობების განხორციელება. შეფასების შედეგი შეიძლება იყოს: · სასწავლო კურსის შინაარსის, მისი წინაპირობების ცვლილებები, სასწავლო კურსების თანმიმდევრობის ცვლილება, სასწავლო კურსის (კურსების) დამატება ან წაშლა, ცვლილებები სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისებში, ცვლილებები პროგრამის სწავლის შედეგებში, შეფასების მექანიზმებში.

სიმართლე ისაა, რომ შეფასების ამ არაპირდაპირი მექანიზმების სწორად ფუნქციონირების საკმარისი მტკიცებულებები არ იყო წარმოდგენილი და მიზანშეწონილია ამის გაუმჯობესება. მაგალითად, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრისას მათ არ ახსოვდათ, რომ ჩატარდა კმაყოფილების გამოკითხვები ან რომ შეაფასეს სასწავლო აქტივობა. მათ არც იციან ამ კვლევის შედეგებთან დაკავშირებული გაუმჯობესების გეგმები. ასევე სასურველია მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება. ხშირად სტუდენტები გრძნობენ, რომ მათი მოთხოვნები და პრეტენზიები არ არის გათვალისწინებული.

მეორე მხრივ, მართალია ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ არაპირდაპირი მექანიზმები უნდა გაძლიერდეს, მაგრამ ასევე აღნიშნავს, რომ დამსაქმებლებთან გამართული შეხვედრის შემდეგ და რამდენიმე სტუდენტის დასკვნითი ნამუშევრების ნახვის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, რომ ისინი იღებენ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო შედეგებს. გარდა ამისა, დამსაქმებლებმა სტუდენტები შეფასებისას სხვა კონკურენტებზე მაღლა დააყენეს.

როგორც ლოგიკურია აუდიოვიზუალური მეცნიერებების სფეროში, სტუდენტი სწავლის შედეგებს იძენს კომპანიებში პირველი სტაჟირების დროს ან პირველ სამუშაოზე. პრაქტიკული ცოდნა ისწავლება შრომით. თეორიულ და პრაქტიკულ შინაარსზე უფრო დიდი ყურადღება შეინიშნება სპეციალიზაციის სამაგისტრო პროგრამაში (კინო-ტელე ოპერატორი / აუდიოვიზუალური რეჟისურა). ექსპერტთა ჯგუფს სურს ხაზი

გაუსვას ანიმაციის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებს, როგორც ძალიან პოზიტიურს და განმასხვავებელს. ყველა გამართულ შეხვედრაზე საერთო კმაყოფილება გამოვლინდა.

განხილული დოკუმენტებისა და ინტერვიუების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები: უნივერსიტეტს აქვს მექანიზმები კურსის სწავლის შედეგების შესაფასებლად. ეს მექანიზმები რელევანტური და საკმარისია კლასტერში დაჯგუფებული ყველა პროგრამისთვის. აუცილებელია გაძლიერდეს არაპირდაპირი მექანიზმების მუშაობა და მათი არსებობის მტკიცებულება, რათა გაუმჯობესდეს არსებული მტკიცებულებები, რომლებიც ცხადყოფს, რომ სხვადასხვა პროგრამებში მუდმივი ცვლილებების განხორციელება, მათი გაუმჯობესების მიზნით, ეფექტურია უნივერსიტეტისთვის.

უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტები, გასაუბრების შედეგები და ზემოაღნიშნული ინფორმაცია იძლევა საფუძველს, რომ კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამები შევაფასოთ როგორც -„მოთხოვნებთან შესაბამისობაში“.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

● საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და შეფასების მექანიზმები.pdf (tafu.edu.ge)

● საგანმანათლებლო პროგრამაში/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების გეგმა

● სწავლის შედეგების რუკები და სამივე დონის საგანმანათლებლო პროგრამების სამიზნე ნიშნულები

● გამოკითხვის ფორმები

● აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების კვლევის შედეგები (ბაზრის კვლევა)

● საკვალიფიკაციო ნაშრომები

● ვიზიტი

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურა, ბაკალავრიატი | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ტელე-რეჟისურა, საბაკალავრო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 - "ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიების" | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საბაკალავრო პროგრამა | | | | |
| პროგრამა 4 ( ხმის რეჟისურა, საბაკალავრო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5- "კინო-ტელე ოპერატორის" საბაკალავრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6- "აუდიოვიზუალური რეჟისურის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე)" სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7- კინო-ტელე ოპერატორის სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8- აუდიოვიზუალური ხელოვნების სადოქტორო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |

### 1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

➢პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

➢პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ,

გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის - „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, ფორმირებისა და დამტკიცების მეთოდოლოგიის“ მიხედვით. პროგრამების სტრუქტურა ითვალისწინებს სწავლის დონეს და აგებულია საქართველოს კანონმდებლობით, ECTS სისტემით. პროგრამების შინაარსი, რომელიც ასახავს აუდიოვიზუალური ხელოვნების თავისებურებებს, შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სასწავლო შედეგების მიღწევას. პროგრამების სტრუქტურა ლოგიკურად არის აგებული და საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები თანმიმდევრულად ვითარდება; პროგრამების განახლებისას გათვალისწინებულია დარგის თანამედროვე მიღწევები და კვლევის უახლესი შედეგები (მაგრამ ძველი ლიტერატურა მაინც რჩება სასწავლო კურსების ნაწილად). პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი ჩამოყალიბებულია საერთაშორისო ანალოგიების გამოყენებით და ითვალისწინებს ტენდენციებს საერთაშორისო ასპარეზზე. პროგრამების სტრუქტურისა და შინაარსის განახლებაში მონაწილეობდა ყველა დაინტერესებული მხარე - აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები.
კლასტერში დაჯგუფებული სასწავლო პროგრამების ეტაპობრივი შემუშავება დაგეგმილია შემდეგი პრინციპით: ბაკალავრიატის საფეხურზე სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა დაეუფლოს კონკრეტულ მიმართულებას: ანიმაცია, ტელევიზია, ხმის მიმართულებით რეჟისურა, ხოლო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში, კერძოდ, აუდიოვიზუალურ რეჟისურაში, ის ისეა შექმნილი, რომ სტუდენტს მიეცეს შესაძლებლობა დაგეგმოს საკუთარი სასწავლო გეგმა სპეციალობის მოდულების არჩევით და დაუფლებით.

**აღწერა და ანალიზი პროგრამა 1** ("მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურა“, საბაკალავრო პროგრამა) .

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;
თვითშეფასების ანგარიშში მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც მოგვეწოდა ვიზიტამდე, ისევე როგორც დისკუსიების შედეგების საფუძველზე, დადგინდა, რომ მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურის საბაკალავრო პროგრამას აქვს 4 წლიანი ციკლი, მყარი და მკაფიო სტრუქტურა, რომელსაც

შეუძლია ყოვლისმომცველი და კომპეტენტური რეჟისორისა და ფილმების პროდიუსერების მომზადება , საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ შემოქმედებითი ინდუსტრიისთვის. ამ სტრუქტურის აგებისას, მაქსიმალური ძალისხმევა დაიხარჯა, რომ იგი შესაბამისობაში ყოფილიყო საქართველოს კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან. გარდა ამისა, პროგრამის სტრუქტურა სრულად შეესაბამება ბოლონიის პროცესსა და კრედიტების განაწილების ევროპულ სისტემას.

პროგრამის სტრუქტურა შემუშავდა სხვადასხვა მოსაზრებების გათვალისწინებით, მათ შორის აკადემიკოსებისა და სტუდენტების/კურსდამთავრებულების.

შინაარსი და სტრუქტურა მოიცავს თეორიისა და პრაქტიკის ძალიან კარგ ბალანსს, რაც იძლევა სწავლებისა და სწავლის განვითარების შესაძლებლობას ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მეშვეობით.

დარგში წარმატებული პროფესორების გუნდის დახმარებით, სტუდენტებს აქვთ წვდომა უახლეს ინფორმაციაზე. პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, მათი პრიორიტეტია, დაეხმარონ მომავალ პროფესიონალებს საკუთარი უნიკალური ვიზუალური ენის/ხედვის განვითარებაში. რასაც ისინი წლების განმავლობაში წარმატებით აკეთებდნენ. ამას მოწმობენ მათი წარმატებული სტუდენტები, რომლებიც სისტემატურად მონაწილეობენ ფესტივალებში და აქტიურად არიან დასაქმებულები. გასაუბრებიდან ირკვევა, რომ კარგი თანამშრომლობა აქვთ დამსაქმებლებთან, თუმცა ისინი კურიკულუმის შექმნისა და პროგრამის დახვეწის პროცესში ნაკლებად იყვნენ ჩართულები. დამსაქმებლებს მოგვიანებით გააცნეს უკვე სრულყოფილი პროგრამა. მიუხედავად ამისა, ისინი კარგად აფასებენ პროგრამის შედეგებს და კმაყოფილი არიან პროგრამის მიერ მოწოდებული პერსონალით. ისინი კმაყოფილნი არიან თავიანთი მულტიდისციპლინური ცოდნით, რაც გულისხმობს მათ მოქნილობას ისეთი დამსაქმებლისთვის, როგორიცაა „ქართული ფილმი“. ეს მულტიდისციპლინურობა გამომდინარეობს უნივერსიტეტის ღიაობიდან და მათ ეძლევათ შესაძლებლობა გაეცნონ სხვა ქვეყნების გამოცდილებას სასწავლო პროცესში, რომელსაც უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს საერთაშორისო მოწვეული სტუმრების მეშვეობით. სტუდენტებთან ინტერვიუმ აჩვენა მათი პოზიტიური დამოკიდებულება ზოგიერთი ლექტორის მიმართ, მაგრამ მათ სურთ მეტი გაცვლითი პროგრამა და მეტი შესაძლებლობა სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტებთან თანამშრომლობისთვის, ასევე ამბობენ, რომ ამ უნივერსიტეტში სწავლას აღარ აირჩევენ და სურთ პროგრამაში მეტი ინოვაციის შეტანა. გამომდინარე იქიდან, რომ სფერო მიბმულია ტექნოლოგიებთან და ბაზრის მოთხოვნები მუდმივად იცვლება, ის სწრაფად განვითარებადი სფეროა და მუდმივად უნდა იყოთ სიახლეების შესწავლის რეჟიმში. ეს უნარები ძალიან გამოადგება სტუდენტს, რათა მომავალში შეძლოს დამოუკიდებლად შეიძინოს და გაიღრმავოს კომპეტენციები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

o თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი
- გასაუბრებები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელია თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 („ტელერეჟისურა“, საბაკალავრო პროგრამა ):

თვითშეფასების ანგარიშში მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც მოგვეწოდა ვიზიტამდე, ისევე როგორც დისკუსიების შედეგების საფუძველზე, დადგინდა, რომ ტელერეჟისურის საბაკალავრო პროგრამას აქვს 4 წლიანი ციკლი, მყარი და მკაფიო სტრუქტურა, რომელსაც შეუძლია ყოვლისმომცველი და კომპეტენტური რეჟისორისა და ტელეპროდიუსერების მომზადება, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ შემოქმედებითი ინდუსტრიისთვის. გარდა ამისა, პროგრამის სტრუქტურა სრულად შეესაბამება ბოლონიის პროცესსა და კრედიტების განაწილების ევროპულ სისტემას.
პროგრამის სტრუქტურა შემუშავდა სხვადასხვა მოსაზრებების გათვალისწინებით, მათ შორის აკადემიკოსებისა და სტუდენტების/კურსდამთავრებულების.

შინაარსი და სტრუქტურა მოიცავს თეორიისა და პრაქტიკის ძალიან კარგ ბალანსს, რაც იძლევა სწავლებისა და სწავლის განვითარების შესაძლებლობას ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მეშვეობით.

დარგში წარმატებული პროფესორების გუნდის დახმარებით, სტუდენტებს აქვთ წვდომა უახლეს ინფორმაციაზე. პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, მათი პრიორიტეტია, დაეხმარონ მომავალ პროფესიონალებს პრაქტიკული უნარების განვითარებაში, ამიტომ შექმნეს ონლაინ ტელევიზია, რომელიც ჩართულია სასწავლო პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამა შექმნილია იმისთვის, რომ სტუდენტებს შესძინოს სფეროს ყოვლისმომცველი გაგება. გარდა მათი ძირითადი სპეციალობისა, სტუდენტები იძენენ ინფორმაციას სხვადასხვა მომიჯნავე როლებზე, როგორიცაა ოპერატორი, მხატვარი, დრამატურგი და მსახიობი; ასევე იღებენ თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ცოდნას, როგორიცაა კომპიუტერული მონტაჟი და ვიდეო გადაღება. სასწავლო პროგრამა მოიცავს სხვადასხვა საგნებს, მათ შორის წარმოებას, მარკეტინგის, წარმოების მენეჯმენტს და დისტრიბუციას, რომელიც მოიცავს სატელევიზიო ფილმების წარმოების ყველა ასპექტს, იდეის დაწყებიდან ფილმის ექსპორტამდე. ეს ყოვლისმომცველი მიდგომა ამზადებს სტუდენტებს, რომ მიაღწიონ წარმატებას მუდმივად განვითარებად მედია ასპარეზზე.

ტელერეჟისურის საბაკალავრო პროგრამა პირველ რიგში ხაზს უსვამს ფუნდამენტურ ჰუმანიტარულ განათლებას აუდიო-ვიზუალური და კინო-სატელევიზიო ხელოვნების სფეროში. ის არა მხოლოდ ხელს უწყობს პროფესიული უნარების განვითარებას, არამედ უზრუნველყოფს ყოვლისმომცველი თეორიული ცოდნის შეძენას შესაბამის სფეროებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები

**აღწერა და ანალიზი- პროგრამა 3** -"ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიების" საბაკალავრო პროგრამა

თვითშეფასების ანგარიშში მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც მოგვეწოდა ვიზიტამდე, ისევე როგორც დისკუსიების შედეგების საფუძველზე, დადგინდა, რომ ანიმაციური კინოს რეჟისუის და თანამედროვე ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამას აქვს 4 წლიანი ციკლი, მყარი და მკაფიო სტრუქტურა, რომელსაც შეუძლია ყოვლისმომცველი და კომპეტენტური რეჟისორისა და პროდიუსერების მომზადება ანიმაციური ნაწარმის შესაქმნელა , საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. გარდა ამისა, პროგრამის სტრუქტურა სრულად შეესაბამება ბოლონიის პროცესსა და კრედიტების განაწილების ევროპულ სისტემას.
პროგრამის სტრუქტურა შემუშავდა სხვადასხვა მოსაზრებების გათვალისწინებით, მათ შორის აკადემიკოსებისა და სტუდენტების/კურსდამთავრებულების.

შინაარსი და სტრუქტურა მოიცავს თეორიისა და პრაქტიკის ძალიან კარგ ბალანსს, რაც იძლევა სწავლებისა და სწავლის განვითარების შესაძლებლობას ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მეშვეობით.

დარგში წარმატებული პროფესორების გუნდის დახმარებით, სტუდენტებს აქვთ წვდომა უახლეს ინფორმაციაზე. პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, მათი პრიორიტეტია, დაეხმარონ მომავალ პროფესიონალებს პრაქტიკული უნარების განვითარებაში, ამიტომ შექმნეს ონლაინ ტელევიზია, რომელიც ჩართულია სასწავლო პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამა შექმნილია იმისთვის, რომ სტუდენტებს შესძინოს სფეროს ყოვლისმომცველი გაგება. პროგრამის მიზნები შეესაბამება ანიმაციური კინოს რეჟისურის პროგრამისთვის მოსალოდნელ სტანდარტებს. ის უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულები კარგად მოემზადონ კინოსა და მედია ინდუსტრიაში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, როგორც უნარიანი რეჟისორები. პრაქტიკულ უნარებსა და თეორიულ ცოდნაზე აქცენტი კიდევ უფრო ამაღლებს პროგრამის ხარისხს.

ადგილზე ვიზიტის დროს სტუდენტები კმაყოფილებას გამოთქვამდნენ პროგრამის სწავლების ხარისხით.

ანიმაციური კინოს რეჟისუის და თანამედროვე ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის მიზნები ეფექტურად შეესაბამება დარგის მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულები კარგად არიან შეიარაღებულნი ანიმაციუი კინოში კარიერული წინსვლისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები

**აღწერა და ანალიზი -პროგრამა 4** (ხმის რეჟისურა, ბაკალავრიატი)

თვითშეფასების ანგარიშში მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც მოგვეწოდა ვიზიტამდე, ისევე როგორც დისკუსიების შედეგების საფუძველზე, დადგინდა, რომ ხმის რეჟისურის საბაკალავრო პროგრამას აქვს 4 წლიანი ციკლი, მყარი და მკაფიო სტრუქტურა, რომელსაც შეუძლია ყოვლისმომცველი და კომპეტენტური ხმის რეჟისორის მომზადება, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ შემოქმედებითი ინდუსტრიისთვის. გარდა ამისა, პროგრამის სტრუქტურა სრულად შეესაბამება ბოლონიის პროცესსა და კრედიტების განაწილების ევროპულ სისტემას.
პროგრამის სტრუქტურა შემუშავდა სხვადასხვა მოსაზრებების გათვალისწინებით, მათ შორის აკადემიკოსებისა და სტუდენტების/კურსდამთავრებულების.

შინაარსი და სტრუქტურა მოიცავს თეორიისა და პრაქტიკის ძალიან კარგ ბალანსს, რაც იძლევა სწავლებისა და სწავლის განვითარების შესაძლებლობას ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მეშვეობით.

დარგში წარმატებული პროფესორების გუნდის დახმარებით, სტუდენტებს აქვთ წვდომა უახლეს ინფორმაციაზე. პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, მათი პრიორიტეტია, დაეხმარონ მომავალ პროფესიონალებს პრაქტიკული უნარების განვითარებაში.
საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტმა დაადასტურა, რომ სტუდიები სათანადოდ არის აღჭურვილი ხმის რეჟისურის პროგრამის საგანმანათლებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ეს დაკვირვება მიუთითებს იმაზე, რომ უნივერსიტეტმა ინვესტიცია საჭირო რესურსებში ჩადო, რათა სტუდენტებისთვის პრაქტიკული სწავლება და ხმის რეჟისურის პრაქტიკული გამოცდილება მიეცა.

საგანმანათლებლო პროგრამა შექმნილია იმისთვის, რომ სტუდენტებს შესძინოს სფეროს ყოვლისმომცველი გაგება. პროგრამის მიზნები კარგად შეესაბამება ხმის რეჟისურის პროგრამისთვის მოსალოდნელ სტანდარტებს. კურსდამთავრებულები მზად არიან წვლილი შეიტანონ ფილმების სხვადასხვა ჟანრებსა და ტიპებში, წარმოაჩენენ ხმის რეჟისორის პრინციპების ღრმა გაგებას და მათი ეფექტურად გამოყენების უნარს.

ხმის რეჟისურის პროგრამა თავისი მიზნებით ეფექტურად შეესაბამება კინოხელოვნების სფეროს მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულები კარგად არიან მომზადებულები ხმის რეჟისორად მუშაობისთვის კინოსა და სატელევიზიო წარმოების კონტექსტში. პროგრამის აქცენტი როგორც კრეატიულობაზე, ასევე ტექნიკურ ცოდნაზე აძლიერებს მის ხარისხს და აქტუალურობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები

**აღწერა და ანალიზი -პროგრამა 5** ("კინო-ტელე ოპერატორის (თეორია და პრაქტიკა)" საბაკალავრო პროგრამა)

თვითშეფასების ანგარიშში მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც მოგვეწოდა ვიზიტამდე, ისევე როგორც დისკუსიების შედეგების საფუძველზე, დადგინდა, რომ კინო-ტელე ოპერატორის საბაკალავრო პროგრამას აქვს 4 წლიანი ციკლი, მყარი და მკაფიო სტრუქტურა, რომელსაც შეუძლია ყოვლისმომცველი და კომპეტენტური ოპერატორის მომზადება აუდიოვიზუალური ნაწარმის შესაქმნელად, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. გარდა ამისა, პროგრამის სტრუქტურა სრულად შეესაბამება ბოლონიის პროცესსა და კრედიტების განაწილების ევროპულ სისტემას.

პროგრამის სტრუქტურა შემუშავდა სხვადასხვა მოსაზრებების გათვალისწინებით, მათ შორის აკადემიკოსებისა და სტუდენტების/კურსდამთავრებულების.

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელე-კინო ოპერატორის საბაკალავრო პროგრამა გააზრებულად არის შემუშავებული მისი პროგრამის მიზნებისა და სფეროს სპეციფიკური მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამის კურიკულუმი ლოგიკურად არის სტრუქტურირებული დასახული მიზნების შესასრულებლად.

თუმცა, ადგილზე ვიზიტმა და სტუდენტთა ინტერვიუებმა ხაზი გაუსვა მნიშვნელოვან საკითხს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელე-კინო

ოპერატორის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის ტექნიკური აღჭურვილობის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. აშკარაა, რომ ყველა სტუდენტს არ აქვს მარტივი წვდომა კამერებზე და სხვა საჭირო აღჭურვილობაზე, დავალებების შესასრულებლად. ტექნიკური რესურსების ამ დეფიციტმა შეიძლება პოტენციურად შეაფერხოს სტუდენტების მიერ მიღებული განათლების ხარისხი და პრაქტიკული გამოცდილება.

ამ პრობლემის გადასაჭრელად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ ადეკვატური ხელმისაწვდომობა იმ აღჭურვილობაზე, რომელიც მათ სჭირდებათ სასწავლო კურსისთვის, მკაცრად რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა წამოიწყოს სახსრების მოზიდვის ძალისხმევა დამატებითი პროფესიული აღჭურვილობის შესაძენად. სახსრების მოზიდვის ეს ძალისხმევა შეიძლება მოიცავდეს ფინანსური მხარდაჭერის მოძიებას კურსდამთავრებულებისგან, ინდუსტრიის პარტნიორებისგან და დონორებისგან, რომლებსაც აქვთ ინტერესი უნივერსიტეტის კინოსა და სატელევიზიო პროგრამების მხარდაჭერისადმი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები

აღწერა და ანალიზი პროგრამა 6: "აუდიოვიზუალური რეჟისურის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე)" სამაგისტრო პროგრამა

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიო-ვიზუალური რეჟისურის სამაგისტრო პროგრამა სტრუქტურირებულია ეფექტურად, როგორც ეს მითითებულია თვითშეფასების ანგარიშში (SER) და დადასტურებულია ადგილზე ვიზიტის დროს. ეს ორწლიანი პროგრამა ავლენს კარგად განსაზღვრულ და მტკიცე ჩარჩოს, რომელიც შექმნილია კომპეტენტური პროფესიონალების შესაქმნელად, რომლებსაც შეუძლიათ აუდიო-ვიზუალური ნაწარმის შექმნა საქართველოში და საერთაშორისო დონეზე. გარდა ამისა, პროგრამა იდეალურად შეესაბამება ბოლონიის პროცესისა და ETCS სისტემას.

ამ სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა მეთოდურად არის შემუშავებული მისი ძირითადი მიზნების მისაღწევად. პირველ რიგში, პროგრამა მიზნად ისახავს სპეციალისტების განათლებას, რომლებსაც აქვთ აუდიოვიზუალური რეჟისურის მექანიზმების საფუძვლიანი ანალიზის უნარი.

მეორეც, მაგისტრანტებს ეძლევათ სიღრმისეული გაგება კინოსა და ტელევიზიის განვითარების ეტაპებისა და ტენდენციების შესახებ, დარგის ძირითად თეორიებთან ერთად. პროგრამა ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების უნარს და უნერგავს სტუდენტებს პროფესიულ და ეთიკურ ქცევას.

და ბოლოს, პროგრამა ფოკუსირებულია რეჟისორების ხელშეწყობაზე, რომლებსაც შეუძლიათ შექმნან უაღრესად ინდივიდუალური და ორიგინალური აუდიოვიზუალური ნაწარმი. ეს მიიღწევა თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულები კარგად არიან მომზადებულნი როგორც შემოქმედებითი საქმიანობისთვის, ასევე სამეცნიერო კვლევისთვის.

თუმცა, ჩვენი ყურადღების ცენტრში მოექცა სტუდენტების ნაშრომების ხარისხი, კვლევის თემები და მუშაობის საერთო ხარისხი აუდიო-ვიზუალური რეჟისურის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში. ადგილზე ვიზიტისა და სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან დისკუსიის დროს აღინიშნა, რომ არის სფეროები, სადაც შეიძლება გაუმჯობესდეს პროგრამის აკადემიური და კვლევითი სტანდარტები. გაუმჯობესება შეიძლება შეიცავდეს:

კვლევითი თემების უფრო ფართო სპექტრის წახალისებას, რომელიც შეესაბამება აუდიოვიზუალური რეჟისურის დარგის თანამედროვე საკითხებსა და ტენდენციებს.

დამატებითი ხელმძღვანელობითა და მენტორობით უზრუნველყოფა ფაკულტეტის წევრებისგან, რათა უზრუნველყონ სტუდენტების მხარდაჭერა მათ კვლევით საქმიანობაში.

ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელება მაღალი აკადემიური სტანდარტების შესანარჩუნებლად და ნაშრომების მოსალოდნელ კრიტერიუმებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

უკუკავშირის მექანიზმის ჩამოყალიბება, სადაც სტუდენტები იღებენ კონსტრუქციულ უკუკავშირს თავიანთ კვლევით სამუშაოზე, რაც მათ საშუალებას აძლევს განახორციელონ საჭირო ცვლილებები.

იმის უზრუნველყოფა, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა ადეკვატურ კვლევით რესურსებზე და შესაძლებლობებზე.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ ყოველივეზე რეაგირებას, სამაგისტრო პროგრამის საერთო ხარისხის ასამაღლებლად და საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისობის შესანარჩუნებლად. ამით პროგრამას შეუძლია უკეთ შეასრულოს თავისი მისია - მოამზადოს კურსდამთავრებულები შემოქმედებითი, კვლევითი და პედაგოგიური როლებისთვის, აუდიოვიზუალური რეჟისურის სფეროში.

რეკომენდებულია, რომ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიო-ვიზუალური რეჟისურის მაგისტრანტს შესთავაზოთ არჩევითი საგნები სამაგისტრო დონეზე. ეს რეკომენდაცია გამომდინარეობს იმ დაკვირვებიდან, რომ „კინოწარმოების საფუძვლების" სილაბუსი, როგორც ჩანს, ბაკალავრის დონის იდენტურია. მაგისტრატურის დონის არჩევითი საგნების შემოღებით, პროგრამას შეუძლია უზრუნველყოს უფრო მოწინავე და სპეციალიზებული კურსები, რომლებიც შეესაბამება მაგისტრანტების უფრო მაღალ აკადემიურ მოლოდინებს.

ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელე-კინო რეჟისურის საბაკალავრო და აუდიოვიზუალური რეჟისურის (ტელერეჟისურის) სამაგისტრო პროგრამებს შორის მნიშვნელოვანი დუბლირება ხდება გარკვეული კურსების მიზნებსა და შინაარსში. კერძოდ:

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების პირველ სემესტრებში სილაბუსების მიზნები იდენტურია.

აუდიოვიზუალური რეჟისურის (ტელერეჟისურის) სამაგისტრო პროგრამის I სემესტრის სილაბუსი ძალიან ჰგავს კინო-ტელე რეჟისურის საბაკალავრო პროგრამის მე-5 სემესტრის სილაბუსს.

აუდიოვიზუალური რეჟისურის (ტელერეჟისურის) სამაგისტრო პროგრამის II სემესტრის და კინო-ტელე რეჟისურის საბაკალავრო პროგრამის მე-6 სემესტრის სილაბუსები მიზნებით, შედეგებით, თემებითა და ლიტერატურით იდენტურია.

ანალოგიურად, აუდიოვიზუალური რეჟისურის (ტელერეჟისურის) სამაგისტრო პროგრამის მე-3 სემესტრის და კინო--ტელე რეჟისურის საბაკალავრო პროგრამის მე-7 სემესტრის სილაბუსები ასევე იდენტურია მიზნებით, შედეგებით, თემებითა და ლიტერატურით.

ეს იდენტურობა აჩენს კითხვებს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს შორის საკურსო სწავლების განსხვავებულობასა და სიღრმისეულობასთან დაკავშირებით. შესაძლოა მომგებიანი იყოს ამ კურსის სილაბუსების გადახედვა და ცვლილება, რათა უზრუნველყოთ სტუდენტებისთვის უფრო მოწინავე და სპეციალიზებულ შინაარსის სამაგისტრო პროგრამის შეთავაზება, უფრო მაღალი აკადემიური დონის მოლოდინებისა და მოთხოვნების შესაბამისად. ეს ხელს შეუწყობს სამაგისტრო პროგრამის ხარისხისა და გამორჩეულობის ზრდას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o თვითშეფასების ანგარიში
- o ადგილზე ვიზიტი
- o უნივერსიტეტის ვებგვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები

**აღწერა და ანალიზი** -პროგრამა 7 ("კინო-ტელე ოპერატორის (თეორია და პრაქტიკა)" სამაგისტრო პროგრამა)

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამისთვის კინო-ტელე ოპერატორის სამაგისტრო პროგრამისთვის ჩატარებული ადგილზე ვიზიტისა და სასწავლო გეგმის შესწავლის შედეგად, აშკარაა, რომ ეს პროგრამა მიზანმიმართულად შემუშავებულია იმ სპეციალისტების მოსამზადებლად, რომლებიც გამოირჩევიან როგორც პრაქტიკოსები, ასევე თეორეტიკოსები კინო-ტელე ოპერატორობის სფეროში.

პროგრამა დიდ ყურადღებას უთობს კინო-ტელე ოპერატორის სფეროს ყოვლისმომცველ გააზრებაზე. ეს მიიღწევა უახლესი კვლევის შედეგებისა და კამერასთან მუშაობის სპეციფიკური მეთოდების სასწავლო

პროგრამაში ინტეგრირებით. პროგრამის ამგვარად სტრუქტურირებით, კურსდამთავრებულები არა მხოლოდ აღჭურვილი არიან უახლესი ცოდნით, არამედ ფლობენ პრაქტიკულ უნარებს, რათა ეფექტურად გამოიყენონ ეს ცოდნა რეალურ სიტუაციებში. პროგრამა მიზნად ისახავს ისეთი სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც არა მხოლოდ გამოირჩევიან თავიანთ სფეროში, არამედ აქვთ მყარი თეორიული ცოდნის საფუძველი. ამ თეორიული ცოდნის მიწოდებით, პროგრამა კურსდამთავრებულებს შესაძლებლობას აძლევს არა მხოლოდ გამოირჩეოდნენ თავიანთ არჩეულ კარიერაში, არამედ გახდნენ პედაგოგები კინო-ტელე ოპერატორის მუშაობის სფეროში სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ.

თუმცა, სტუდენტების მიერ ინტერვიუების საშუალებით აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად საჭიროა დამატებითი აღჭურვილობა. მეტი აღჭურვილობის შეძენა აუცილებელია იმისათვის, რომ სტუდენტებს მიაწოდოთ საჭირო ინსტრუმენტები და რესურსები, რათა მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი საგანმანათლებლო გამოცდილება ამ პროგრამაში. ამ საჭიროების გათვალისწინება ხელს შეუწყობს პროგრამის ეფექტურობას კინო-ტელე ოპერატორის პროგრამის კურსდამთავრებულების მომზადებაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები

**აღწერა და ანალიზი** -პროგრამა 8 (აუდიოვიზუალური ხელოვნების სადოქტორო პროგრამა)

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიოვიზუალური ხელოვნების სადოქტორო პროგრამას აქვს მკაფიო მიზნები, რომელიც ორიენტირებულია აკადემიური კულტურის განვითარებაზე, კვლევის უნარ-ჩვევებზე და მკვლევარებს შორის ინტელექტუალური კომპეტენციის ჩამოყალიბებაზე. გარდა ამისა, პროგრამა მიზნად ისახავს შემეცნებითი ინტერესების დაკმაყოფილებას და ინდივიდუალური თვისებებისა და ანალიტიკური უნარების თვითრეალიზებას. იგი ასევე ცდილობს დაამყაროს ძლიერი ტენდენციები ეფექტურ პედაგოგიურ საქმიანობაში, რომელიც მოიცავს მოტივაციურ, ღირებულ, შემეცნებით, კომუნიკაციურ და შემოქმედებით კომპონენტებს.
თუმცა, დაფიქსირდა, რომ აუდიოვიზუალური ხელოვნების მიმართულების სადოქტორო პროგრამის პირველ ორ სემესტრში შემოთავაზებულ სასწავლო კურსებსა და ტელე-კინო რეჟისურის საბაკალავრო პროგრამის სხვადასხვა სემესტრში მოცემულ თემებს შორის დუბლირებას აქვს ადგილი. ეს მოიცავს სავალდებულო ლიტერატურის მსგავსებებს.
სადოქტორო პროგრამის გამორჩეულობისა და სიღრმისეულობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია სასწავლო გეგმის გადახედვა და შეცვლა. ეს გადახედვა მიზნად უნდა ისახავდეს მაღალი დონისა და სპეციალიზებული შინაარსის მიწოდებას, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება დოქტორანტურის დონის სწავლის მოლოდინებსა და მოთხოვნებს. ამით, სადოქტორო პროგრამას შეუძლია უკეთ შეასრულოს თავისი მისია, მოამზადოს აუდიოვიზუალური ხელოვნების მიმართულებით უნიკალური გამოცდილების მქონე მკვლევარები.
უახლეს კვლევით მასალებზე წვდომა აუცილებელია სტუდენტებისთვის, განსაკუთრებით დოქტორანტურის დონეზე, რადგან ეს საშუალებას აძლევს მათ მუდმივად ინფორმირებულნი იყვნენ სფეროში მიმდინარე მოვლენებზე და განახორციელონ მაღალი ხარისხის კვლევა.

ამ რჩევის ეფექტურად განსახორციელებლად, უნივერსიტეტს შეუძლია განიხილოს შემდეგი ნაბიჯები: გამოიწეროს ონლაინ კვლევის მონაცემთა ბაზები და ჟურნალები, რომლებიც უზრუნველყოფენ წვდომას აკადემიური ნაშრომებისა და პუბლიკაციების ფართო სპექტრზე.
ითანამშრომლონ აკადემიურ გამომცემლებთან და ორგანიზაციებთან, რათა მოიპოვონ მათ კვლევით მონაცემთა ბაზებსა და მასალებზე წვდომა ფასდაკლებით, ინსტიტუციური პარტნიორობის საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** მნიშვნელოვანია, რომ მკაფიო კავშირი დამყარდეს არაპირდაპირი შეფასების მექანიზმებს (განსაკუთრებით კმაყოფილების გამოკითხვებს) და ყველა პროგრამის გასაუმჯობესებელ ასპექტებს შორის. ამ სათაურების მუდმივი განახლება აუცილებელია აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროში კონკურენტუნარიანობისთვის.

**კლასტერის საერთო რჩევები:** კარგი ვარიანტი იქნება საერთაშორისო დამსაქმებლების, ან უცხოური უნივერსიტეტების სტუმრების ჩართვა, რათა მათ გამოთქვან საკუთარი აზრი პროგრამების განახლებისას;  და ასევე კარგი იქნება სტუდენტების  ე.წ. რბილი უნარების პროფილირება.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურა, საბაკალავრო პროგრამა. | x | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 2 (ტელე-რეჟისურა, საბაკალავრო პროგრამა) | x | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 - "ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიების" საბაკალავრო პროგრამა | x | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 ( ხმის რეჟისურა, საბაკალავრო პროგრამა) | x | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5- "კინო-ტელე ოპერატორის" საბაკალავრო პროგრამა | x | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6- "აუდიოვიზუალური რეჟისურის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე)" სამაგისტრო პროგრამა | x | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7- კინო-ტელე ოპერატორის სამაგისტრო პროგრამა | x | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8- აუდიოვიზუალური ხელოვნების სადოქტორო პროგრამა | x | ☐ | ☐ | ☐ |

### 1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/ საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

➢ ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/ საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამების მიზნები მჭიდრო კავშირშია კლასტერში არსებული კურსების შინაარსთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სასწავლო მიზნების შესრულებას. პროგრამის რუკებში, რომლებიც ასახავს ამ ინფორმაციას, აღნიშნულია კურსების მნიშვნელობა პროგრამის სასწავლო მიზნებთან მიმართებაში, რომლითაც აკადემიური პროგრამები უზრუნველყოფს კონკრეტული სასწავლო მიზნის მიღწევას. რუკების შედგენისას გამოიყენება „გაცნობა“, „გაღრმავება“ და „გაძლიერება“, რომლებიც ასახავს კურსის წვლილს პროგრამის სწავლის შედეგებში.

ECTS- ის განაწილება სასწავლო კურსებს შორის არის ადეკვატური და ითვალისწინებს სასწავლო კურსის თავისებურებებს და მის პოზიციას სასწავლო პროგრამის სტრუქტურაში. საკონტაქტო საათების თანაფარდობა დამოუკიდებელ საათებთან თითოეულ სასწავლო კურსში იცვლება სწავლის დონის მიხედვით და ასახავს სასწავლო კურსის უნიკალურ მახასიათებლებს. საკონტაქტო საათების რაოდენობა შეესაბამება კურსის მიზნებს და შინაარსს.

სტუდენტებთან გასაუბრებისას გამირკვა ის ცალკეული შემთხვევები, როდესაც საგნობრივი განრიგი ერთმანეთს ემთხვეოდა, ისიც იმ შემთხვევაში, თუ საგნებს ხელახლა გადიოდნენ, და ეს სტუდენტისთვის დადებითად გადაწყდა. მას საშუალებაც კი მიეცა, არ დასწრებოდა ლექციებს და მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული ნაშრომი ჩაებარებინა, თუმცა სტუდენტი სწავლების თანხას იხდის. მიზანშეწონილია ყურადღება მიაქციოთ ამ ტიპის შემთხვევებს და მეტი ძალისხმევა გამოიჩინოთ, როდესაც საგნების განრიგი ერთმანეთს ემთხვევა.

მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიში განმარტავს, რომ „კურსის სილაბუსი დაწერილია უნივერსიტეტის სტანდარტული ფორმატის შესაბამისად და მოიცავს დეტალურ ინფორმაციას კურსის სტატუსის, ფორმატის, მიზნების, დასკვნების, შინაარსისა და აუდიტორიაში საჭირო და დამატებითი საკითხავი მასალის შესახებ“, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას დაფიქსირდა ზოგადი ცოდნის ნაკლებობა სასწავლო სახელმძღვანელოების შესახებ და მათი ინფორმაცია შემოწმებულ იქნა. მათ განაცხადეს, რომ სილაბუსები დროულად არ მიაწოდეს, არ იცოდნენ მათი შინაარსი და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები. ამის გათვალისწინებით, კომიტეტმა მოითხოვა ტუტორიალი

უნივერსიტეტის ინტრანეტზე, რათა დაენახა ეს ინფორმაცია სტუდენტის თვალით. დადასტურდა, რომ ინფორმაცია ნამდვილად იყო, ამიტომ კომიტეტის რჩევით უნდა გაძლიერდეს სტუდენტებთან კომუნიკაცია, რის შედეგედაც ისინი მიიღებენ საჭირო ინფორმაციას და ეცოდინებათ ეს ინფორმაცია სად მიიღონ.

აუცილებელი ლიტერატურა შეესაბამება კურსის სასწავლო მიზნებს და უზრუნველყოფს პროგრამის სასწავლო მიზნების მიღწევას. კურიკულუმები ხშირად ახლდება და ასახავს დარგის უკანასკნელ კვლევებს, მაგრამ უნივერსიტეტის ფაკულტეტის უახლესი კვლევები არ არის ასახული.
გარანტირებულია, რომ პროგრამის სასწავლო მიზნები შესრულდება სასწავლო გეგმებში ჩამოთვლილი აუცილებელი ლიტერატურის დახმარებით, რომელიც რეგულარულად ახლდება და ასახავს დარგის უკანასკნელ კვლევებს. აუცილებელი ლიტერატურა შეესაბამება კურსის სასწავლო მიზნებს.

აუცილებელი ლიტერატურა ჩამოთვლილია სასწავლო გეგმებში, რომლებიც რეგულარულად გადაიხედება დარგის უახლესი კვლევების ასახვის მიზნით და შეესაბამება კურსის სასწავლო მიზნებს, რათა უზრუნველყოს პროგრამის სასწავლო მიზნების მიღწევა.
აუცილებელი ლიტერატურა შეესაბამება კურსის სასწავლო მიზნებს და უზრუნველყოფს პროგრამის სასწავლო მიზნების მიღწევას. კურიკულუმები ხშირად ახლდება, რათა ასახოს დარგის უახლესი კვლევები.

საბოლოოდ, შესაძლებელი გახდა იმის დამოწმება, რომ თეორიული და პრაქტიკული აქტივობები სტუდენტს ეხმარება დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევაში, მაგრამ გარკვეული ნიუანსები პროგრამების მიხედვით იქნება წარმოდგენილი, რათა უზრუნველყოფილი იყოს უნარების საბოლოო და რეალური შეძენა. ექსპერტთა ჯგუფი, ასევე, მოუწოდებს უნივერსიტეტს ჩაატაროს მეტი სასწავლო სემინარი, რომელიც შეავსებს საგნების შინაარსს. განსაკუთრებით კონკრეტული აუდიოვიზუალური რედაქტირების ან დიზაინის პროგრამების დასამუშავებლად. ასევე, მისასალმებელი იქნება ნებისმიერი ტრენინგი, რომელიც სტუდენტების ტრანსფერული უნარების განვითარებაზე იქნება მიმართული.

ექსპერტთა ჯგუფი მოუწოდებს უნივერსიტეტს განაგრძოს სამუშაოები ობიექტების განახლებისთვის, რის შედეგედაც დაწესებულება უფრო კონკურენტუნარიანი გახდება და მისი შედეგები აისახება სტუდენტების მიერ პრაქტიკული უნარების შეძენაში.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურის საბაკალავრო პროგრამა)

ამ საბაკალავრო პროგრამაზე, სტუდენტებმა გამოთქვეს თავიანთი პრეტენზია ერთობლივი მუშაობის შესაძლებლობის ნაკლებობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით დრამის სტუდენტებთან (მსახიობებთან). პროგრამის ყველა საგანში, მნიშვნელოვანია ხელი შეუწყოთ თანამშრომლობას სხვადასხვა კურსის სტუდენტებს შორის, რომლებიც აუდიოვიზუალური პროდუქციის წარმოებაში არიან ჩართულნი. ამ ტიპის სამუშაოებში სინერგია აუცილებელია. სავალდებულო და არჩევითი საგნები ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას, ასევე შეფასებისა და მუშაობის სისტემებს. ვნახეთ ამ სტუდენტების საბოლოო ნამუშევრები. მათ ასევე გაიზიარეს პრესტიჟული ჯილდოები კინოფესტივალებზე. ეს დადებითად არის შეფასებული.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (ტელერეჟისურის საბაკალავრო პროგრამა)

სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ თეორიული ცოდნა უნივერსიტეტის ტელევიზიაში. გარდა ამისა, სტუდენტები საბოლოოდ მუშაობას იწყებენ საქართველოს სატელევიზიო ქსელებში. უნივერსიტეტის სატელევიზიო ქსელის გადაცემები შესანიშნავი ხარისხისაა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3**
(ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა)

ექსპერტთა ჯგუფს სურს ძალიან დადებითად შეაფასოს ამ პროგრამის მუშაობა და შედეგი: კონკურენტუნარიანი, პრაქტიკული, რეალისტური... გარდა ამისა, ყველა შეხვედრაზე იყო ერთი და იგივე დადებითი და ჰარმონიული მოსაზრება მის მუშაობაზე. ამ ანგარიშით უმაღლეს სასწავლებელს სურს მიულოცეს პროგრამის ხელმძღვანელებს. გარდა ამისა, საბოლოო ნამუშევრებში ასახულია თანმიმდევრულად და წარმატებით გამოყენებული ანიმაციური ტექნიკა, რაც ცხადყოფს, რომ ეს არის პროგრამა, რომელიც მუშაობს და რომელიც აღწევს შესანიშნავ შედეგებს სტუდენტებში.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4** (ხმის რეჟისურის საბაკალავრო პროგრამა)

ამ პროგრამის უნარებს სტუდენტები სწორად იძენენ. მათ აქვთ უაღრესად შესაბამისი საშუალებები მუსიკალური უნარების გასავითარებლად (ხმაგაუმტარი ოთახები, სხვადასხვა ინსტრუმენტები, კომპიუტერები ხმის რედაქტირების სპეციფიკური პროგრამული უზრუნველყოფით...) და ქმნიან სინერგიას სხვა სტუდენტებთან, როდესაც მათ სჭირდებათ აუდიოვიზუალური პროდუქტების საუნდტრეკის შექმნა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5** (კინო- ტელე ოპერატორის საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამის სწავლების სისტემა სტუდენტს საშუალებას აძლევს შეიძინოს თეორიული ცოდნა, რომელიც ეხმარება მათ გაიგონ კინემატოგრაფიული კონტექსტი და ოპერატორის როლის მნიშვნელობა. საუნივერსიტეტო წლებში შეძენილი პრაქტიკული უნარები უზრუნველყოფს, რომ სამუშაოს შეთავაზებისას მათ უპირატესობას მიანიჭებენ.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6**
(აუდიოვიზუალური რეჟისურის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე) სამაგ ისტრო პროგრამა)

სტუდენტი, რომელიც ამ სამაგისტრო პროგრამას ირჩევს, იღებს დიდ თეორიულ დატვირთვას. მნიშვნელოვანია ჩარიცხვამდე სტუდენტის გაფრთხილება, რომ ამ სამაგისტრო პროგრამის შინაარსი უფრო თეორიაზეა ორიენტირებული, ვიდრე პრაქტიკაზე. ამის გათვალისწინებით საინტერესო იქნებოდა სტუდენტისთვის აკადემიური კარიერის დასახვა, რათა მათ გააგრძელონ სწავლა დოქტორანტურაში. მოცემულია კვლევის მეთოდოლოგიის მყარი საფუძველი. სასურველია, რომ სილაბუსები ორიენტირებული იყოს მაგისტრატურის სწავლის შედეგებზე, განსაკუთრებით დასკვნითი ნაშრომის შესაფერის თემებზე. ამჟამად სილაბუსი უფრო ჰგავს ბაკალავრიატის, ვიდრე მაგისტრატურის დატვირთვას. სასურველია ამ ინფორმაციის დაზუსტება და გაუმჯობესება, რათა ნათელი იყოს მოცემული ხარისხის დონის ტიპური მოთხოვნა. ჩატარებული გასაუბრების შემდეგ, უსდ-ს მიაჩნია, რომ ეს ნამდვილად ხდება. შესაბამისად, უმაღლეს სასწავლებელს ესმის, რომ ეს არის ინფორმაციის დაზუსტება.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7**
(კინო- ტელე ოპერატორის (თეორია და პრაქტიკა) სამაგისტრო პროგრამა)

ეს სამაგისტრო პროგრამაც აკადემიური კარიერის კარგი შესაძლებლობაა, რათა ამ პროგრამის სტუდენტებითაც შეივსოს სადოქტორო პროგრამა. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ თეორიული დატვირთვა უფრო დიდია ვიდრე პრაქტიკული, ამ პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი თითქმის 100%- ია, რაც ძალიან დადებითად არის შეფასებული.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8** (აუდიოვიზუალური ხელოვნების სადოქტორო პროგრამა)

ეს სადოქტორო პროგრამა არის ახალი პროგრამა კვლევის სხვადასხვა მიმართულებით, რომელზედაც საინტერესო ნაშრომების მიღებაა შესაძლებელი ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, თუ მასზე მუშაობას გააგრძელებთ. თუმცა, მასში უნდა ჩანდეს თეორიული და პრაქტიკული დატვირთვის დონე, რომელიც შესაბამისობაშია დოქტორანტურასთან. ამჟამად, ის თემები, რომელთა კვლევაც შესაძლებელია, არ განსხვავდება ბაკალავრის ხარისხის თემებისგან. სასურველია ამ ინფორმაციის დაზუსტება და გაუმჯობესება, რათა ნათელი იყოს მოცემული ხარისხის დონის ტიპური მოთხოვნა. ჩატარებული გასაუბრების შემდეგ, უსდ-ს მიაჩნია, რომ ეს ნამდვილად ხდება. შესაბამისად, უმაღლეს სასწავლებელს ესმის, რომ ეს არის ინფორმაციის დაზუსტება.

არ არსებობს მკაფიო კავშირი ამ პროგრამის კურსდამთავრებულებსა და მათ შესაძლებლობებს შორის გახდნენ საუნივერსიტეტო კლასტერის ნაწილი, ასწავლონ ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგნები. რეკომენდებულია ამ კარიერის გაძლიერება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები თანდართული სილაბუსებით;
- სასწავლო კურსების კურიკულუმის რუკა და სწავლის შედეგები;
- სტუდენტების გამოკითხვა სასწავლო კურსების შესახებ;

- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი და ელექტრონული ბიბლიოთეკა;
- საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზები;
- ადგილზე ვიზიტი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: მნიშვნელოვანია, რომ მკაფიო კავშირი დამყარდეს არაპირდაპირი შეფასების მექანიზმებსა (განსაკუთრებით კმაყოფილების გამოკითხვებს) და ყველა პროგრამის გაუმჯობესების ასპექტებს შორის. ამ სათაურების მუდმივი განახლება აუცილებელია აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროში კონკურენტუნარიანობისთვის.

კლასტერის საერთო რჩევები: კარგი იქნება საერთაშორისო დამსაქმებლების, ან უცხოური უნივერსიტეტების სტუმრების ჩართვა, რათა მათ გამოთქვან თავიანთი აზრი პროგრამების განახლებისას და ასევე დააფიქსირონ სტუდენტების ტრანსფერული უნარები.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (მხატვრული და დოკუ მენტური კინოს რეჟის ურის საბაკალავრო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ტელერეჟისურის საბა კალავრო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (ანიმაციური კინოს რე | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჟისურა და თანამედრო ვე ტექნოლოგიების საბ აკალავრო პროგრამა) | | | | |
| პროგრამა 4 (ხმის რეჟისურისსაბაკა ლავრო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (კინო-ტელე ოპერატორის საბ აკალავრო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (აუდიოვიზუალური რ ეჟისურის (მხატვრულ ი, დოკუმენტური, ანი მაციური, ხმის, ტელე) სამაგისტრო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (კინო-ტელე ოპერატორის (თ ეორია და პრაქტიკა) სა მაგისტრო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (აუდიოვიზუალური ხ ელოვნების სადოქტორ ო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |

### პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (მხატვრული და დოკ უმენტური კინოს რეჟი სურის საბაკალავრო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ტელერეჟისურის საბა კალავრო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 3 (ანიმაციური კინოს რე ჟისურა და თანამედრ ოვე ტექნოლოგიების ს აბაკალავრო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (კინო-ტელე ოპერატორის სა ბაკალავრო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (აუდიოვიზუალური რ ეჟისურის (მხატვრულ ი, დოკუმენტური, ანი მაციური, ხმის, ტელე) სამაგისტრო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (კინო-ტელე ოპერატორის (თ ეორია და პრაქტიკა) სა მაგისტრო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (აუდიოვიზუალური ხ ელოვნების სადოქტო რო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება- სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის. პროგრამებზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას.

საგანმანათლებლო პროგრამების სამივე საფეხურზე სტუდენტების მიღება კომისიის საშუალებით ხდება; უსდ განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულების რესურსებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებას. პროგრამაზე სტუდენტების მიღება ხორციელდება სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია.

თვითშეფასების ანგარიშში არის ტექნიკური უზუსტობა. კერძოდ, მე-8 გვერდზე მოცემულია ინფორმაცია კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებზე მიღების წინაპირობების შესახებ, რომლის მიხედვითაც, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობაა: „საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურები და ერთიანი ეროვნული გამოცდები (საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისთვის აუცილებელია ერთ-ერთი შემდეგი (მესამე) საგნის ჩაბარება - ისტორია/ მათემატიკა/ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება/ ლიტერატურა)", რაც შეესაბამება 2023- 2024 სასწავლო წელს საბაკალავრო აკადემიურ საფეხურზე მიღების წესს, რომელიც გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ხოლო თვითშეფასების ანგარიშის მე-40 გვერდზე - 2.1. საბაკალავრო პროგრამებზე დაშვების წინაპირობად მითითებულია - „საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურები და ერთიანი ეროვნული გამოცდები" (საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები, უცხო ენა. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - მეოთხე საგანი არ არის სავალდებულო), რომელიც შეიცავს ტექნიკურ უზუსტობას ზოგად უნარებთან დაკავშირებით, ვინაიდან ზოგადი უნარები რამდენიმე წელია არ შედის ერთიან ეროვნულ გამოცდებში. იგივე ტექნიკური შეცდომა გვხვდება შემდეგი საბაკალავრო პროგრამების კატალოგებში: "მხატვრული და დოკუმენტური რეჟისურა", "ტელერეჟისურა", "ხმის რეჟისურა", "კინო- ტელე ოპერატორი", რომელიც საჭიროებს გამოსწორებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურა, ბაკალავრიატი)

პროგრამაზე მიღების წინაპირობაა „საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურები და ერთიანი ეროვნული გამოცდები (საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის

მისაღებად აუცილებელია ჩააბაროთ ერთ-ერთი შემდეგი (მესამე) საგნიდან - ისტორია/მათემატიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება/ ლიტერატურა), რაც დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების დროს.

ხოლო პროგრამის კატალოგში მითითებულია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა „საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურები და ერთიანი ეროვნული გამოცდები (საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები, უცხო ენა. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - მეოთხე საგანი არ არის სავალდებულო), რომელიც შეიცავს ტექნიკურ უზუსტობას ზოგად უნარებთან მიმართებაში.

თვითშეფასების ანგარიში და პროგრამის კატალოგი არ შეიცავს ინფორმაციას უნივერსიტეტის შემოქმედებითი ტურის მოთხოვნების შესახებ. ხსენებული ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურა“;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები.
- საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია.
- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური კოჰორტის დაგეგმვის წესი;
- 2023- 2024 სასწავლო წელს ბაკალავრიატის აკადემიურ საფეხურზე სტუდენტთა მიღების წესი
- http://www.tafu.edu.ge/wm.php?page=abitur_shemturi_zogadi_cesebi&parent=abitur
- შემოქმედებითი ტურის კონკურსის წესები და მოთხოვნები, რომელიც ბარდება ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე.
- http://www.tafu.edu.ge/wm.php?page=abitur_shemturi_kino&parent=abitur
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან;

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (ტელერეჟისურის საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა „საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურები და ერთიანი ეროვნული გამოცდები (საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია ჩააბაროთ ერთ-ერთი შემდეგი (მესამე) საგნიდან - ისტორია/მათემატიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება/ ლიტერატურა), რაც დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების დროს.

ხოლო პროგრამის კატალოგში მითითებულია, რომ პროგრამაზე მიღების წინაპირობაა „საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურები და ერთიანი ეროვნული გამოცდები (საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა,

ზოგადი უნარები, უცხო ენა. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - მეოთხე საგანი არ არის სავალდებულო), რაც შეიცავს ტექნიკურ უზუსტობას ზოგად უნარებთან მიმართებაში.

თვითშეფასების ანგარიში და პროგრამის კატალოგი არ შეიცავს ინფორმაციას უნივერსიტეტის შემოქმედებითი ტურის მოთხოვნების შესახებ. ხსენებული ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვრდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ტელერეჟისურის საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები.
- საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია.
- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური კოჰორტის დაგეგმვის წესი;
- 2023- 2024 სასწავლო წელს ბაკალავრიატის აკადემიურ საფეხურზე სტუდენტთა მიღების წესი
- http://www.tafu.edu.ge/wm.php?page=abitur_shemturi_zogadi_cesebi&parent=abitur
- შემოქმედებითი ტურის კონკურსის წესები და მოთხოვნები, რომელიც ბარდება ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე http://www.tafu.edu.ge/wm.php?page=abitur_shemturi_kino&parent=abitur
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან;

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3
(ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამაზე მიღების წინაპირობაა „საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურები და ერთიანი ეროვნული გამოცდები (საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია ჩააბაროთ ერთ-ერთი შემდეგი (მესამე) საგნიდან - ისტორია/მათემატიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება/ ლიტერატურა), რაც დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების დროს.

თვითშეფასების ანგარიში და პროგრამის კატალოგი არ შეიცავს ინფორმაციას უნივერსიტეტის შემოქმედებითი ტურის მოთხოვნების შესახებ. ხსენებული ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვრდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები.
- საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია.

- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური კოჰორტის დაგეგმვის წესი;
- 2023- 2024 სასწავლო წელს ბაკალავრიატის აკადემიურ საფეხურზე მიღების წესი http://www.tafu.edu.ge/wm.php?page=abitur_shemturi_zogadi_cesebi&parent=abitur
- შემოქმედებითი ტურის კონკურსის წესები და მოთხოვნები, რომელიც ბარდება ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე http://www.tafu.edu.ge/wm.php?page=abitur_shemturi_kino&parent=abitur
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4** (ხმის რეჟისურის საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამაზე მიღების წინაპირობაა „საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურები და ერთიანი ეროვნული გამოცდები (საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია ჩააბაროთ ერთ-ერთი შემდეგი (მესამე) საგნიდან - ისტორია/მათემატიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება/ ლიტერატურა), რაც დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების დროს.

ხოლო პროგრამის კატალოგში მითითებულია, რომ პროგრამაზე მიღების წინაპირობაა „საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურები და ერთიანი ეროვნული გამოცდები (საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები, უცხო ენა. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - მეოთხე საგანი არ არის სავალდებულო), რაც შეიცავს ტექნიკურ უზუსტობას ზოგად უნარებთან მიმართებაში.

თვითშეფასების ანგარიში და პროგრამის კატალოგი არ შეიცავს ინფორმაციას უნივერსიტეტის შემოქმედებითი ტურის მოთხოვნების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებგვერდზეა განთავსებული

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხმის რეჟისურის საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები.
- საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია.
- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური კოჰორტის დაგეგმვის წესი;
- 2023- 2024 სასწავლო წელს ბაკალავრიატის აკადემიურ საფეხურზე მიღების წესი http://www.tafu.edu.ge/wm.php?page=abitur_shemturi_zogadi_cesebi&parent=abitur
- შემოქმედებითი ტურის კონკურსის წესები და მოთხოვნები, რომელიც ბარდება ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე http://www.tafu.edu.ge/wm.php?page=abitur_shemturi_kino&parent=abitur
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5** (კინო- ტელე ოპერატორის საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამაზე მიღების წინაპირობაა „საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურები და ერთიანი ეროვნული გამოცდები (საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია ჩააბაროთ ერთ-ერთი შემდეგი (მესამე) საგნიდან - ისტორია/მათემატიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება/ ლიტერატურა), რაც დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების დროს.

ხოლო პროგრამის კატალოგში მითითებულია, რომ პროგრამაზე მიღების წინაპირობაა „საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურები და ერთიანი ეროვნული გამოცდები (საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები, უცხო ენა. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - მეოთხე საგანი არ არის სავალდებულო), რაც შეიცავს ტექნიკურ უზუსტობას ზოგად უნარებთან მიმართებაში.

თვითშეფასების ანგარიში და პროგრამის კატალოგი არ შეიცავს ინფორმაციას უნივერსიტეტის შემოქმედებითი ტურის მოთხოვნების შესახებ. ხსენებული ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

კინო-ტელე ოპერატორის საბაკალავრო პროგრამა;

- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები.
- საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია.
- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური კოჰორტის დაგეგმვის წესი;
- 2023- 2024 სასწავლო წელს ბაკალავრიატის აკადემიურ საფეხურზე მიღების წესი http://www.tafu.edu.ge/wm.php?page=abitur_shemturi_zogadi_cesebi&parent=abitur
- შემოქმედებითი ტურის კონკურსის წესები და მოთხოვნები, რომელიც ბარდება ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე http://www.tafu.edu.ge/wm.php?page=abitur_shemturi_kino&parent=abitur
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6**
(აუდიოვიზუალური რეჟისურის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე) სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: „ბაკალავრიატის აკადემიური საფეხური; შესაძლებელია ბაკალავრის ეკვივალენტური ან უფრო მაღალი აკადემიური ხარისხი; ქართული ენის ცოდნა (უცხოელი კანდიდატებისთვის - B2 დონეზე); ინგლისური ენის ცოდნა - მინიმუმ B2 დონე; პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძველია: სპეციალობის გამოცდის წარმატებით ჩაბარება". საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის

შესაბამისად, ვინაიდან აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა მიეკუთვნება მხატვრულ და საშემსრულებლო მიმართულებას, არ არის აუცილებელი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება.

თვითშეფასების ანგარიში და პროგრამის კატალოგი არ შეიცავს ინფორმაციას სპეციალობისა და ინგლისური ენის გამოცდის მოთხოვნების შესახებ. ინფორმაცია სამაგისტრო პროგრამებზე მიღებისა და საგამოცდო საკითხების შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

თვითშეფასების ანგარიში და უნივერსიტეტის ვებგვერდი არ იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი დონის შემოწმება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აუდიოვიზუალური რეჟისურის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე) სამაგის ტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები.
- საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური კოჰორტის დაგეგმვის წესი;
- 2023- 2024 სასწავლო წელს სამაგისტრო პროგრამებზე მიღების შესახებ http://www.tafu.edu.ge/wm.php?id=1190&more=1&fbclid=IwAR1COBDk8HIHDtdw59e3X9gPlsPkEp0oxzXVfXXLXeZGSdx
- გასაუბრებები სტუდენტებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7** (კინო- ტელე ოპერატორის სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: „ბაკალავრიატის აკადემიური საფეხური; შესაძლებელია ბაკალავრის ეკვივალენტური ან უფრო მაღალი აკადემიური ხარისხი; ქართული ენის ცოდნა (უცხოელი კანდიდატებისთვის - B2 დონეზე); ინგლისური ენის ცოდნა - მინიმუმ B2 დონე; პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძველია: სპეციალობის გამოცდის წარმატებით ჩაბარება“. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვინაიდან აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა მიეკუთვნება მხატვრულ და საშემსრულებლო მიმართულებას, არ არის აუცილებელი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება.

თვითშეფასების ანგარიში და პროგრამის კატალოგი არ შეიცავს ინფორმაციას სპეციალობისა და ინგლისური ენის გამოცდის მოთხოვნების შესახებ. ინფორმაცია სამაგისტრო პროგრამებზე მიღებისა და საგამოცდო საკითხების შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

თვითშეფასების ანგარიში და უნივერსიტეტის ვებგვერდი არ იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი დონის შემოწმება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კინო- ტელე ოპერატორის სამაგისტრო პროგრამა;

- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებ- გვერდი და ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია.
- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური კოჰორტის დაგეგმვის წესი;
- 2023- 2024 სასწავლო წელს სამაგისტრო პროგრამებზე მიღების შესახებ http://www.tafu.edu.ge/wm.php?id=1190&more=1&fbclid=IwAR1COBDk8HIHDtdw59e3X9gPlsPkEp0oxzXVfXXLXeZGSdx
- გასაუბრებები სტუდენტებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8** (აუდიოვიზუალური ხელოვნების სადოქტორო პროგრამა)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: „მაგისტრატურის აკადემიური საფეხური; შესაძლებელია მაგისტრის ექვივალენტური ან უფრო მაღალი აკადემიური ხარისხი; ინგლისური ენის ცოდნა - მინიმუმ B2 დონე; ქართული ენის ცოდნა (უცხოელი კანდიდატებისთვის - B2 დონეზე); პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძველია: სპეციალობის გამოცდის წარმატებით ჩაბარება“.

თვითშეფასების ანგარიშში და პროგრამის კატალოგში არ არის მოცემული ინფორმაცია სპეციალობის გამოცდის მოთხოვნებისა და ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი დონის შემოწმბის შესახებ.

პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ სადოქტორო პროგრამაზე მიღების მსურველს მოეთხოვება B2 დონეზე ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი ან B2 დონეზე ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარება. დოქტორანტმა ასევე უნდა დაწეროს აბსტრაქტი საკვლევ თემაზე, რომელიც ასახავს კვლევის მიზნებს, სიახლეს, აქტუალობას, კვლევის მოსალოდნელ შედეგებს და კვლევის ირგვლივ ლიტერატურის მიმოხილვას სასურველ თემაზე, რაც დასტურდება სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო და სადისერტაციო საბჭოს დებულებებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აუდიოვიზუალური ხელოვნების სადოქტორო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებ- გვერდი და ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია.
- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური კოჰორტის დაგეგმვის წესი;
- სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო და სადისერტაციო საბჭოს დებულებები.
- გასაუბრებები სტუდენტებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

- სასურველია, საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურების/სპეციალობის/უცხო ენის გამოცდის მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის წარდგენა კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებში.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, კინორეჟისურის საბაკალავრო პროგრამაში ტექნიკური უზუსტობის გამოსწორება.

რჩევები:

- სასურველია, სწორად მიუთითოთ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.

პროგრამა 2 (ტელერეჟისურის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ტელერეჟისურის საბაკალავრო პროგრამაში ტექნიკური უზუსტობის გამოსწორება.

რჩევები:

პროგრამა 3 (ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 4 (ხმის რეჟისურის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ხმის რეჟისურის საბაკალავრო პროგრამაში ტექნიკური უზუსტობის გამოსწორება.

რჩევები:

პროგრამა 5 (კინო- ტელე ოპერატორის საბაკალავროპროგრამა)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, კინო-ტელე ოპერატორის საბაკალავრო პროგრამაში ტექნიკური უზუსტობის გამოსწორება.

რჩევები:

პროგრამა 6 (აუდიოვიზუალური რეჟისურის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე) სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 7 (კინო- ტელე ოპერატორის (თეორია და პრაქტიკა) სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 8 (აუდიოვიზუალური ხელოვნების სადოქტორო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

| კომპონენტი 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურის საბაკალავრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 2 (ტელერეჟისურის საბაკალავრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (ხმის რეჟისურისსაბაკალავრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (კინო-ტელე ოპერატორის საბაკალავრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (აუდიოვიზუალური რეჟისურის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე) სამაგისტრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (კინო-ტელე ოპერატორის (თეორია და პრაქტიკა) სამაგისტრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (აუდიოვიზუალური ხელოვნების სადოქტორო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

### 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი, სწავლის შედეგებისა და დონის მიხედვით უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული/ შემოქმედებითი/ სამეცნიერო/ კვლევითი უნარების განვითარებას. პროგრამების პრაქტიკული/ შემოქმედებითი/ სამეცნიერო/ კვლევითი კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია მისი სწავლის შედეგების მიხედვით და შეესაბამება განათლების დონეს. შემოქმედებით და სამეცნიერო პროექტებში ჩართვისას სტუდენტებს ხელმძღვანელობენ დარგის კვალიფიციური პროფესიონალები, რომლებიც აფასებენ სტუდენტის მუშაობას.

უნივერსიტეტი იძლევა სტუდენტთა პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს უახლესი ციფრული აღჭურვილობითა და სასწავლო სტუდიით აღჭურვილი საგანმანათლებლო ტელევიზია Tafu TV, ასევე ვიდეოთეკა და ბიბლიოთეკა. უნივერსიტეტს აქვს საკუთარი გამომცემლობა „კენტავრი“, რომელშიც შედის უნივერსიტეტის სტუდენტური გაზეთი „დურუჯი“, სამეცნიერო შრომების კრებული „მხატვრულ მეცნიერებათა კვლევა“; აქვე ქვეყნდება: სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები, ლექსიკონები, თარგმანები, უნივერსიტეტის პროფესორთა მონოგრაფიები, ცნობები და სხვა პუბლიკაციები.

პრაქტიკული სწავლება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დონეზე ჯგუფური მუშაობის ნაწილია. პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტები მეცადინეობენ უნივერსიტეტის სასწავლო სტუდიაში, სასწავლო ტელევიზიაში Tafu TV, ფოტოლაბორატორიაში, სადაც უვითარდებათ პროფესიული უნარ- ჩვევები.

დოქტორანტურის დონეზე პრაქტიკული კომპონენტი მოიცავს პროფესორის ასისტენტობას და საჩვენებელ ლექციას, რაც ემსახურება პრაქტიკისა და კვლევის პროცესების ინტეგრაციას და პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას.

სტუდენტები ჩართულნი არიან ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში: უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ყოველწლიური საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი "ამირანი", CinéDOC-თბილისის დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი, ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი BIAFF, ზამთრის და ზაფხულის კინოსკოლები, ცნობილი კინემატოგრაფისტთა მასტერკლასები, უცხოური კინოსკოლები, კინოფესტივალები, სადაც სტუდენტები წარმოადგენენ ფილმებს და აღწევენ მნიშვნელოვან წარმატებას; ზოგჯერ ისინი მონაწილეობენ ჟიურის სახით. აღნიშნული აქტივობები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას.

გასაუბრების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ არ მიეწოდებათ ინფორმაცია საერთაშორისო პროექტების შესახებ და ასევე არ იციან რა კრიტერიუმებით ირჩევენ მონაწილეებს საერთაშორისო პროექტებისთვის. აუცილებელია, რომ უსდ-მ სტუდენტების საერთაშორისო პროექტების და მათში მონაწილეობის პირობების თაობაზე ინფორმირებულობა აამაღლოს.

უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებს, რომლებშიც მონაწილეობენ მაგისტრანტები და დოქტორანტები. მათი სამეცნიერო ნაშრომები ქვეყნდება უნივერსიტეტის სტუდენტურ გაზეთ „დურუჯში“ და სამეცნიერო შრომების კრებულში „მხატვრულ მეცნიერებათა კვლევა“, რაც ხელს უწყობს სამეცნიერო/ კვლევითი უნარების განვითარებას. თუმცა, უნივერსიტეტის შეზღუდული ფინანსური რესურსების გამო, უცხოურ საერთაშორისო კონფერენციებსა და

სხვა სახის ღონისძიებებში სტუდენტების მონაწილეობის მხარდაჭერა არ არის საკმარისი. საერთაშორისო პრაქტიკა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დოქტორანტებისთვის.

გასაუბრებისას სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გასავითარებლად მათ სჭირდებათ უფრო აქტიური კონტაქტი პროფესიულ გარემოსთან, რაც ადასტურებს დარგობრივი პრაქტიკის დანერგვის აუცილებლობას. სასურველია უნივერსიტეტმა აქტიურად ითანამშრომლოს პარტნიორ ორგანიზაციებთან, რითაც უზრუნველყოფს სტუდენტებს პროფესიული პრაქტიკით, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს აკადემიურ სივრცეში შეძენილი კომპეტენციები პროფესიულ გარემოში გამოსცადონ და შემდგომ დახვეწონ და განავითარონ ისინი.

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდმები დაწესებულებებთან პრაქტიკის თაობაზე განახლებას საჭიროებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კინოსა და ტელევიზიის ფაკულტეტის ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტები (2018-2023);
- ინფორმაცია სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით/შემოქმედებით/საშემსრულებლო პროექტებში ჩართულობის შესახებ;
- ინფორმაცია კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ;
- სტუდენტთა ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია http://www.tafu.edu.ge/wm.php?page=conf_stud&fbclid=IwAR2lZvY65smN57JxuLYB-4B8XhhcqgDyA1zc2b-9oJmq7RNb73f8zVqKn
- გამომცემლობა "კენტავრი" http://www.tafu.edu.ge/wm.php?page=pubs&parent=pub
- სამეცნიერო ნაშრომების კრებული "მხატვრულ მეცნიერებათა კვლევები" https://dziebani2.tafu.edu.ge/?fbclid=IwAR3gL-9ZuhmiVeoVG0akJWnWVINQPpKVJZeGlpfkaICzyPm_zI829CtiJ1o
- გაზეთი "დურუჯი" http://www.tafu.edu.ge/wm.php?page=duruji&parent=pub
- გასაუბრებები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან;

## კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია, რომ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, სტუდენტებისთვის დარგობრივი პრაქტიკის მიწოდების მიზნით, უნივერსიტეტმა განაახლოს/ გააფორმოს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან, უმაღლესი განათლების პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად.

კლასტერის საერთო რჩევები:

სასურველია უნივერსიტეტმა დანერგოს საერთაშორისო პროექტების შესახებ სტუდენტების ინფორმირების მექანიზმები და გააძლიეროს საერთაშორისო პროექტებში სტუდენტების ჩართულობა.

| კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურის საბაკალავრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ტელერეჟისურის საბაკალავრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (ხმის რეჟისურისსაბაკალავრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (კინო-ტელე ოპერატორის საბაკალავრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (აუდიოვიზუალური რეჟისურის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე) სამაგისტრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (კინო-ტელე ოპერატორის (თეორია და პრაქტიკა) სამაგისტრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (აუდიოვიზუალური ხელოვნების სადოქტორო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები;

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება აუდიოვიზუალური ხელოვნების დარგობრივი მახასიათებლებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული სამუშაო (ინდივიდუალური/ ჯგუფური); ელექტრონული სწავლება (სწავლება ელექტრონული რესურსებით); ვერბალური, ანუ ზეპირი მეთოდი, წერილობითი/ წიგნზე მუშაობის მეთოდი, ლაბორატორიული მეთოდი და საჩვენებელი მეთოდი (ვიდეო მასალების, დინამიური მასალის ჩვენება და ა.შ.); პრაქტიკული მეთოდი (სასწავლო- სტუდია/ დარგობრივი და სამრეწველო პრაქტიკა) და მასთან დაკავშირებული აქტივობები: დისკუსია/ დებატები; ჯგუფური (თანამშრომლობითი) მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); თანამშრომლობითი სწავლა; ევრისტიკული მეთოდი; საქმის შესწავლა; გონებრივი იერიში; როლური და სიტუაციური თამაშები; საჩვენებელი მეთოდი; ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი, მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლება. საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, ასევე სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სწავლის შედეგების მისაღწევად, დასაშვებია აკადემიური თავისუფლების ფარგლებში სწავლებისა და სწავლის სხვა მეთოდების/აქტივობების გამოყენება. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება სწავლების დონეს, სასწავლო კურსების შინაარსს, სწავლის შედეგებს, აუდიოვიზუალური ხელოვნების დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნებს. საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსებში, მათი მახასიათებლებიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლებისა და სწავლის ის მეთოდები და აქტივობები, რომლებიც განაპირობებს ამ კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას და მათი კომბინაცია უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

გასაუბრებისას პროგრამებში ჩართულმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა დაადასტურა ინფორმაცია უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული ტრენინგის შესახებ სწავლებისა და სწავლის მეთოდებთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სწავლება-სწავლის მეთოდები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის განსახორციელებისთვის არსებული უსდ- ის რესურსები;
- გასაუბრებები პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელები არიან: ალექსანდრე ვახტანგოვი (პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი), დავით ჯანელიძე (პროფესორი), დავით გუჯაბიძე (ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი), ლელა ოჩიაური (პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი), ქეთევან ტრაპაიძე (ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი). ისინი ჩართულნი არიან სამეცნიერო და შემოქმედებითი პროექტების განხორციელებაში. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დოქტორანტურის დონის მოთხოვნებს, რაც დასტურდება თანდართული დოკუმენტაციით (CV/თვითგანვითარების დოკუმენტი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- „საშემსრულებლო-შემოქმედებითი მიმართულების სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი“;

- დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელების/თანახელმძღვანელების პირადი საქმეები და მათ მიერ ჩატარებული კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელების/თანახელმძღვანელების პროფესიული გამოცდილება, სამეცნიერო საქმიანობა და შემოქმედებითი პროექტები;
- მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელების/თანახელმძღვანელების პირადი საქმეები, მათი შემოქმედებითი/სამეცნიერო საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტები და პროფესიული გამოცდილება;
- ბოლო 5 წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო/სადოქტორო დისერტაციების ნუსხა;
- ინტერვიუები სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელებთან, მაგისტრატურის/დოქტორანტურის კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, ხელოვნების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, კონსულტანტთან ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 6 (აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე), სამაგისტრო პროგრამა)**

რეკომენდაციები:

რჩევები:

**პროგრამა 7 (კინო-ტელე ოპერატორი, სამაგისტრო პროგრამა)**

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა კინო-ტელე ოპერატორის პროგრამაში იყოს ერთზე მეტი, რაც აუცილებელია როგორც პროგრამის განხორციელების მდგრადობისთვის, ასევე ხელმძღვანელის შერჩევის შესაძლებლობისთვის.

რჩევები:

**პროგრამა 8 (აუდიოვიზუალური ხელოვნება, სადოქტორო პროგრამა)**

რეკომენდაციები:

რჩევები

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის ამ კომპონენტთან

| კომპონენტი 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 6 (აუდიოვიზუალური რეჟისურის სამაგისტრო) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7(კინო-ტელე ოპერატორის სამაგისტრო) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (აუდიოვიზუალური ხელოვნების სადოქტორო) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კინოსა და ტელევიზიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ატარებს, აანალიზებს და აქტიურად იყენებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების გამოკითხვის შედეგებს. პერსონალის შეფასება მოიცავს მათ მიერ სწავლებას, კვლევას, შემოქმედებით მუშაობას, რაც აისახება მასწავლებლის წლიურ ანგარიშში. შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული არიან როგორც შემოქმედებითი, ასევე თეორეტიკოსი პერსონალი, რომლებიც ახორციელებენ სამეცნიერო და შემოქმედებით საქმიანობას.

უსდ-მ წარმოადგენა კინოსა და ტელევიზიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული პერსონალის საქმიანობის, სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციების ხელმძღვანელთა საქმიანობის შედეგების ანალიზი, საიდანაც ირკვევა, რომ ფაკულტეტის პერსონალი, ძირითადად, ორიენტირებულია საქმიანობის განხორციელებაზე პრაქტიკული, შემოქმედებითი მიმართულებით და ნაკლებად სამეცნიერო მიმართულებით. პრაქტიკული საქმიანობა, ძირითადად, მოიცავს შემოქმედებითი პროექტების, ფილმების და სხვადასხვა სახის აუდიოვიზუალური მასალის შექმნას. თუმცა, ეს საქმიანობაც ფრაგმენტულია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კინოსა და ტელევიზიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა აკადემიური პერსონალის მიმართ გასცა რეკომენდაციები სამეცნიერო სეგმენტზე მეტი ყურადღების გამახვილების თაობაზე.

შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების გამო, უსდ შეძლებისდაგვარად მხარს უჭერს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მონაწილეობას ადგილობრივ და

საერთაშორისო პროექტებში, სამეცნიერო კონფერენციებში, საგანმანათლებლო/შემოქმედებით პროექტებში. საჭიროების შემთხვევაში, უსდ ატარებს სამუშაო შეხვედრებსა და ტრენინგებს, რომლებიც ორიენტირებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე.

თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი უფრო მეტად ჩაერთოს საერთაშორისო შემოქმედებით პროექტებში, რათა გაეცნოს საერთაშორისო პრაქტიკას და განავითაროს პროფესიული უნარები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ადგილობრივი და საერთაშორისო შემოქმედებითი პროექტები (2018-2023);
- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის (CV) პროფესიული გამოცდილება, სამეცნიერო საქმიანობა და შემოქმედებითი პროექტები;
- პერსონალის, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების საქმიანობის შეფასების შედეგების ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია გაძლიერდეს სამუშაოები ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით; გაიზარდოს პერსონალის ჩართვა საერთაშორისო შემოქმედებით და სამეცნიერო პროექტებში - საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობისა და პროფესიული უნარების განვითარების მიზნით.

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის ამ კომპონენტთან

| კომპონენტი 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (დასახელება, დონე) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (დასახელება, დონე) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (დასახელება, დონე) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 4 (დასახელება, დონე) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (დასახელება, დონე) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (დასახელება, დონე) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (დასახელება, დონე) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (დასახელება, დონე) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## 4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამების/კლასტერის მიხედვით დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს აქვთ ბიბლიოთეკები, სასწავლო სტუდიები და ტელევიზია, საინფორმაციო და ციფრული რესურსები, რომლებიც რაოდენობრივად და თვისებრივად უზრუნველყოფენ პროგრამების/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი პასუხისმგებელია კვლევითი სტუდიების, კვლევითი ტელეკინოსა და ტელეაღჭურვილობის, ბიბლიოთეკების, მასალების, ინფორმაციისა და პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ციფრული რესურსების განახლებაზე.

საგანმანათლებლო პროცესში ელექტრონული/დისტანციური სწავლების/შეფასების მეთოდების გამოყენებისას საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ეხმარება პროგრამაში ჩართულ პერსონალსა და სტუდენტებს შესაბამისი ბაზებით უზრუნველყოფაში.

ობიექტებში ვიზიტის დროს ჯგუფმა შეძლო გაცნობოდა სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომ ტექნიკურ აუდიოვიზუალურ მასალას. სამონტაჟო ოთახების ან კონკრეტული მასალის დაჯავშნა შესაძლებელია წინასწარ. ცდილობენ ობიექტების პერიოდულად განახლებას, მაგრამ მიზანშეწონილია გაგრძელდეს ბიუჯეტის გაზრდა, რათა არ მოხდეს არსებული მასალების მოძველება.

მასალის განახლებით გაძლიერდება სტუდენტთა სწავლის შედეგები. ასევე რეკომენდებულია სივრცეების გამოყენება ისე, რომ სხვადასხვა დონის სტუდენტებს შეეძლოთ ერთმანეთთან შეხვედრა და თანამშრომლობა, რაც აუდიოვიზუალურ სამყაროში აუცილებელია.

აუდიოვიზუალურ მიმართულებასთან დაკავშირებული სტუდენტები ამტკიცებენ, რომ მათ მეტი მხარდაჭერა დასჭირდებათ, რათა შეძლონ სინერგიის დამყარება სხვა ტექნიკურ პროფესიონალებთან და შექმნან თავიანთი აუდიოვიზუალური პროდუქტები (მაგ. ქალი და მამაკაცი მსახიობები, კამერის ოპერატორები, ხმის ოპერატორები...).

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურა. ბაკალავრიატი)

ამ პროგრამაში დაფიქსირდა, რომ მიზანშეწონილია თანამშრომლობითი სინერგიის გაღრმავება სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებთან. აუდიოვიზუალური მიმართულება გულისხმობს იმის ცოდნას, თუ როგორ უნდა იმოქმედო სხვადასხვა პროფილებთან მიმართებაში, რომლებიც თავისი ინოვაციებით წვლილი შეაქვთ პროექტის განხორციელებაში. ამრიგად, ამ ბაკალავრიატის სტუდენტები მოითხოვდნენ მეტ კონტაქტსა და მეტ თანამშრომლობას. კერძოდ, მათ ყურადღება გაამახვილეს დრამის სტუდენტებთან კონტაქტის გაუმჯობესებაზე.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (ტელერეჟისურა. ბაკალავრიატი)

ამ პროგრამაში ძალიან პოზიტიურად აღსანიშნია ფაკულტეტის საკუთარი ტელევიზია, სადაც სტუდენტები გადიან რეალურ სტაჟირებას. ეს საგრძნობლად უწყობს ხელს საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენაში, რასაც უაღრესად აფასებენ დამსაქმებლები. კომპლექტი, კამერები და სხვადასხვა ტექნიკური საშუალებები (ხმა, სამონტაჟო ოთახი...) საკმარისია და შეთავაზებულია მათი განახლება.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3** (ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიები. ბაკალავრიატი)

ამ პროგრამისთვის გამოიყენება პერსონაჟების მოდელირების სხვადასხვა პროგრამა. კომპიუტერების რაოდენობა საკმარისია. გარდა ამისა, ისინი ეყრდნობიან სხვა პროფილის სტუდენტებს, როგორიცაა ბაკალავრები ხმის დარგში, რათა უზრუნველყონ საუნდტრეკები მათი შემოქმედებისათვის. ამ დონის სტუდენტები ძალიან კმაყოფილები არიან მათთვის ხელმისაწვდომი ყველა საშუალებით.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4** (ხმის რეჟისურა. ბაკალავრიატი)

ამ პროგრამასთან დაკავშირებული საშუალებები მოიცავს იზოლირებულ აკუსტიკურ ოთახს სხვადასხვა ტიპის ინსტრუმენტებით მელოდიების შესაქმნელად და ჩასაწერად, რაც ძალიან დადებითად არის შეფასებული. მათ, ასევე, აქვთ აუდიო სიგნალების შემრევი კონსოლი და ხმის რედაქტირების სხვადასხვა პროგრამა. თეორიული ცოდნა ისეთი საგნებისა, როგორიცაა მათემატიკა ან ფიზიკა, შეიძლება გამოყენებულ იქნას ამ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაში.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5** (კინო-ტელე ოპერატორი. ბაკალავრიატი)

სტუდენტებს ხელთ აქვთ სხვადასხვა ტიპის კამერები, რათა გამოიყენონ და იმუშაონ კადრების ტიპოლოგიაზე. ჩაწერილი მასალის დასამუშავებლად არსებობს სამონტაჟო ოთახების დაჯავშნის სისტემა, კალენდრის საშუალებით, რომელიც სტუდენტმა საჭიროების შემთხვევაში უნდა შეავსოს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოთხოვნამ არ გადააჭარბოს მიწოდებას. მათ შეუძლიათ პრაქტიკის გავლა სასკოლო გადასაღებ მოედანზე, ფაკულტეტის ტელევიზიისთვის ან სხვა აუდიოვიზუალური რეჟისურის

სტუდენტებისათვის, რომლებიც მოქმედებენ როგორც ტელეოპერატორები. რეკომენდებულია გაგრძელდეს პროგრამული უზრუნველყოფის, აუდიოვიზუალური რედაქტირების სისტემების (შედარება ულტრა მაღალი გარჩევადობის ჩანაწერების რედაქტირებასთან) და კამერების პერიოდულად განახლება და მოდერნიზება.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6** (აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე - მაგისტრატურა).

ეს მაგისტრატურა უღრმავდება აუდიოვიზუალური რეჟისურის თეორიულ შინაარსს, რათა უფრო მეტი სპეციალიზაცია მისცეს სტუდენტებს. ის იზიარებს ბაკალავრიატის პრობლემებს იმ თვალსაზრისით, რომ სტუდენტები მათი აუდიოვიზუალური ნაშრომების შესაქმნელად ასევე ითხოვენ თანამშრომლობის გაუმჯობესებას დრამატურგიის სტუდენტებთან. საკლასო ოთახები და საერთო სარგებლობის ადგილები იძლევა სინერგიების გაცვლის საშუალებას, მაგრამ რეკომენდებულია პედაგოგებმა გააძლიერონ ისინი და იმოქმედონ როგორც პირველმა დამაკავშირებლებმა. აქ ასევე არის თეატრი და შესანიშნავი კოლექციები (კოსტუმები, საგნები, დეკორაციები...).

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7** (კინო-ტელე ოპერატორი, მაგისტრატურა).

მაგისტრის ხარისხი სთავაზობს უფრო დეტალურ კომპლემენტაციასა და სპეციალიზაციას, ვიდრე ბაკალავრის ხარისხი. სინამდვილეში, სტუდენტები აგრძელებენ იმავე მასალის დამუშავებას, მაგრამ მათ შეუძლიათ გამოიყენონ ყველაზე მოწინავე თეორიული ცოდნა, რათა გააუმჯობესონ თავიანთი, როგორც კამერის ოპერატორების, მუშაობა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8** (აუდიოვიზუალური ხელოვნება, დოქტორანტურა).

დოქტორანტურის დასამთავრებლად, არ არის საჭირო კონკრეტული ინსტალაცია ან სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა. დოქტორანტებს შეუძლიათ ისარგებლონ ფაკულტეტის ობიექტებით ისევე, როგორც ნებისმიერ სხვას. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრისას აღინიშნა, რომ ისინი დოქტორანტურაში სწავლას ამჯობინებენ საკუთარი სივრციდან და ფაკულტეტზე იშვიათად დადიან. ფაკულტეტს აქვს ვრცელი ბიბლიოთეკა, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლოს არსებული წყაროებით, ასევე შესაბამისი კვლევითი ნაშრომებისა და მიმოხილვების ონლაინ სისტემით. თუ მათ ესაჭიროებათ შეხვედრების გამართვა ან თვისებრივი კვლევის ტექნიკის გამოყენება, მათ ასევე გამოყოფილი აქვთ პირადი ოთახები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ბიბლიოთეკა, მასალა, საინფორმაციო და ციფრული რესურსები და მათი ფლობის/ლიცენზიის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები.
- სასწავლო სტუდია და ტელე-ტექნიკა, ტექნიკური აღჭურვილობის თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობასთან; წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე და ამის დამადასტურებელი დოკუმენტები.
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან.

- საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებზე წვდომის გამოყენების ინდიკატორები;
- ადგილზე ვიზიტი.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

**კლასტერის საერთო რჩევები:** ბიუჯეტი უნდა გაიზარდოს აუდიოვიზუალური მასალის მიწოდების განახლების მიზნით, რათა სტუდენტებს წვდომა ჰქონდეთ მუდმივად განახლებულ ტექნოლოგიებთან, რომლებსაც გამოიყენებენ სწავლის ყველაზე პრაქტიკული შედეგებისთვის. სასურველია, უსდ-მ სტუდენტები წაახალისოს, შექმნან სინერგია ერთმანეთში თავიანთი აუდიოვიზუალური შემოქმედებისთვის, განსაკუთრებით რეჟისურის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის მიმართულებით.

.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის ამ კომპონენტთან

| კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურა. ბაკალავრიატი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ტელერეჟისურა, ბაკალავრიატი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიები, ბაკალავრიატი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (ხმის რეჟისურა, ბაკალავრიატი0 | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 5 (კინო-ტელე ოპერატორი, ბაკალავრიატი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე - მაგისტრატურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (კინო-ტელე ოპერატორი, მაგისტრატურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (აუდიოვიზუალური ხელოვნება, დოქტორანტურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |

### 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ბიუჯეტის შემდეგი კლასტერული ფორმით საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესი ძირითადად შექმნილია სახელმწიფოს დაფინანსებისა და საკუთარი შემოსავლების საფუძველზე. მენეჯმენტთან ინტერვიუს საფუძველზე გაირკვა, რომ ყოველწლიურად ტარდება ხარჯების გაანგარიშება, ხდება აქტივობების გეგმისა და ბიუჯეტის ერთი წლით წინასწარ დადგენა. ვინაიდან გრანტი არ არის საკმარისი კლასტერის ყველა საქმიანობისათვის, მენეჯმენტის ძალისხმევა მაქსიმალურად არის მიმართული პროგრამის დაფინანსების გაზრდისა და დაუგეგმავი პროექტების მოულოდნელი ხარჯების დაფარვისაკენ, რომლებიც უნდა დაფინანსდეს სპონსორების მეშვეობით და დამატებითი დახმარების განაცხადებით კულტურის სამინისტროსა თუ მერიისადმი.

ბიუჯეტის დაგეგმვა საგანმანათლებლო პროგრამების სტრატეგიული მიზნების შესაბამისად ხორციელდება და ეფუძნება საერთო საჭიროებებს. ეს კი არსებული ბიუჯეტის ფარგლებში მაქსიმალური შედეგის მიღწევის შესაძლებლობას იძლევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები
- სილაბუსები
- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- ფაკულტეტის ბიუჯეტი

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის ამ კომპონენტთან

| კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| მხატვრული და დოკუმენტური ფილმების რეჟისურის ბაკალავრი | X | ☐ | ☐ | ☐ |
| - ტელერეჟისურის ბაკალავრი | X | ☐ | ☐ | ☐ |
| -ანიმაციური კინოს რეჟისურასა და თანამედროვე ტექნოლოგიების ბაკალავრი | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| - ხმის რეჟისურის ბაკალავრი | X | ☐ | ☐ | ☐ |
| - კინო-ტელე ოპერატორის ბაკალავრი | X | ☐ | ☐ | ☐ |
| - აუდიოვიზუალური რეჟისურის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე) მაგისტრი | X | ☐ | ☐ | ☐ |
| - კინო-ტელე ოპერატორის მაგისტრი | X | ☐ | ☐ | ☐ |
| - იუდიოვიზუალური ხელოვნების დოქტორი | X | ☐ | ☐ | ☐ |

### პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურა. ბაკალავრიატი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ტელერეჟისურა, ბაკალავრიატი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ტექნოლოგიები, ბაკალავრიატი) | | | | |
| პროგრამა 4 (ხმის რეჟისურა, ბაკალავრიატი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (კინო-ტელე ოპერატორი, ბაკალავრიატი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე - მაგისტრატურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (კინო-ტელე ოპერატორი, მაგისტრატურა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (აუდიოვიზუალური ხელოვნება, დოქტორანტურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში (TAFU) მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, რომელიც კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამა(ებ)ის დაგეგმვის, შემუშავების ან/და მოდიფიკაციის პროცესებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტში მითითებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი მუშაობს ზოგადი საუნივერსიტეტო PDCA პრინციპით: P - დაგეგმე; D - განახორციელე; C - შეამოწმე; A – იმოქმედე.

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში (TAFU) ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს შორის გამოიკვეთა: საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და შეფასების მექანიზმები; საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მექანიზმი; საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის შეფასების მექანიზმი; საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი. შეფასების პროცესს ახორციელებენ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის თანამშრომლებთან ინტერვიუმ და პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჯვარედინმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ისინი მუდმივად იღებდნენ კითხვარებს, მაგრამ ჰქონდათ პრობლემები შედეგების გაზიარებაში. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგიერთ წევრს არასოდეს მიუღია პირადი შედეგები. მიზეზი შეიძლება იყოს ტექნიკური, მაგრამ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა უნდა აკონტროლოს, რომ ყველამ მიიღო შეფასების შედეგები. ასევე, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმაც აღნიშნეს, რომ ისინი ავსებენ კითხვარებს, თუმცა არასოდეს მიუღიათ შედეგები ან რაიმე გეგმა უნივერსიტეტისგან, თუ როგორ მოხდა მათი მისაზრების გაზიარება.

ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა/შემუშავება/მოდიფიკაცია და საგანმანათლებლო პროგრამების მიმდინარე შეფასება/განვითარება ხდება წინასწარ დადგენილი წესით და პროცედურებით, ასევე წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა ხდება პროგრამის დასამტკიცებლად დადგენილი წესის თანახმად.

აღნიშნული რეგულაცია გულისხმობს უნივერსიტეტის ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში. პროგრამა მტკიცდება ეტაპობრივად: პროგრამა განიხილება პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან შეხვედრაზე, რომელიც მიჰყავთ პროგრამების ხელმძღვანელებს. პროგრამა მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოზე. პროგრამას მონიტორინგს უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი და მას განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სუსტია თანამშრომლობა პროგრამის ხელმძღვანელებს/ლიდერებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს შორის. პროგრამის ხელმძღვანელები ნაკლებად იცნობენ პროგრამის შინაარსსა და მასში განხორციელებულ ცვლილებებს. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა უნდა მოაწყოს უფრო ფორმალური ტრენინგი პროგრამის ხელმძღვანელებისთვის, რათა უზრუნველყონ ისინი სრული ცოდნით სასწავლო გეგმებისა და სილაბუსების შემუშავების თაობაზე. იმის გამო, რომ პროგრამის ხელმძღვანელები არ იღებენ პასუხისმგებლობას, სასწავლო გეგმებში უამრავი

ტექნიკური შეცდომაა. ზოგიერთ საბაკალავრო პროგრამაში კრედიტების საერთო რაოდენობა არ არის 240, რაც ეწინააღმდეგება კანონს.

კლასტერული პროგრამების თვითშეფასების ანგარიშის მომზადება უნივერსიტეტში იყო ერთობლივი პროცესი, რომელშიც თანაბრად იყვნენ ჩართულნი აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

თვითშეფასების ანგარიშში უნივერსიტეტმა წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი მისია, ეს არის „სწავლების, კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა; უნივერსიტეტის შემოქმედებითი, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება...“. თუმცა, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მისია მიღწეული არ არის. ექსპერტთა ჯგუფს სურს აღნიშნოს, რომ ინტერვიუებიდან გამომდინარე არ არსებობს კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის რეალური მექანიზმი ან ინსტრუმენტები. უაღრესად მნიშვნელოვანია უნივერსიტეტში აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველსაყოფად ძლიერი ინსტრუმენტის არსებობა, თუნდაც ბაკალავრიატის დონეზე. პლაგიატის გამოსავლენად უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს დახვეწილი პროგრამა, როგორიცაა Turnitin. სამეცნიერო-კვლევის ხელშეწყობის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა ასევე უნდა შექმნას მოწინავე ინსტრუმენტები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იქნეს სადოქტორო პროგრამის მაღალი ხარისხი უზრუნველყოფილი.

და ბოლოს, ყველა დაინტერესებული მხარე უნდა ჩაერთოს და მხარი დაუჭიროს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მუშაობას. კმაყოფილების გამოკითხვები, რომლებშიც უნდა მონაწილეობდეს ყველა დაინტერესებული მხარე, უნდა იყოს გამოსადეგი და უნდა ჩანდეს, რომ ისინი ემსახურებიან სიტუაციის გაუმჯობესებას. ყველა ჯგუფი უნდა იყოს ინფორმირებული მათი შედეგებისა და გაუმჯობესების გეგმების შესახებ, რომლებიც განხორციელდება ამ გამოკითხვების შედეგების წყალობით. გამოკითხვის შედეგები და გაუმჯობესების გეგმის მიზანი უნდა იყოს სპეციფიკური თითოეული პროგრამისათვის და ხელმისაწვდომი ვებგვერდზე და სხვა საკომუნიკაციო არხებზე. სტუდენტური თვითმმართველობაც რეგულარულად უნდა იყოს ინფორმირებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

o კლასტერის თვით-შეფასების ანგარიში;

o ინტერვიუს შედეგები;

o კლასტერის პროგრამები;

o სწავლების ხარისხის განვითარება პროგრამების მიხედვით;

o შეფასების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა მოაწყოს უფრო ფორმალური ტრენინგი პროგრამის ხელმძღვანელებისთვის და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის. რათა გაიზარდოს მათი კომპეტენცია სასწავლო გეგმებისა და სილაბუსების შეცვლის მიმართულებით. შედეგად, გაიზრდება თანამშრომლობის ხარისხი პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.
- იმისათვის, რომ ხელი შეუწყოთ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და მიაღწიოთ მთავარ მისიას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, ასევე უნდა შექმნას მოწინავე ინსტრუმენტები იმისათვის, თუ როგორ უზრუნველყოს აკადემიური კეთილსინდისიერება და სადოქტორო პროგრამის მაღალი ხარისხი.
- რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააკონტროლოს, რომ ყველა დაინტერესებულმა პირმა მიიღოს შეფასების შედეგები.

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის ამ კომპონენტთან

| კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|
| მხატვრული და დოკუმენტური ფილმების რეჟისურის ბაკალავრი | ☐ | ☐ | x | ☐ |
| - ტელერეჟისურის ბაკალავრი | ☐ | ☐ | x | ☐ |
| -ანიმაციური კინოს რეჟისურისა და | ☐ | ☐ | x | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თანამედროვე ტექნოლოგიების ბაკალავრი | | | | |
| - ხმის რეჟისურის ბაკალავრი | ☐ | ☐ | x | ☐ |
| - კინო-ტელე ოპერატორის ბაკალავრი | ☐ | ☐ | x | ☐ |
| - აუდიოვიზუალური რეჟისურის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე) მაგისტრი | ☐ | ☐ | X | ☐ |
| - კინო-ტელე ოპერატორის მაგისტრი | ☐ | ☐ | X | ☐ |
| - იუდიოვიზუალური ხელოვნების დოქტორი | ☐ | ☐ | X | ☐ |

## 5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი აღიარებს ავტორიზაციას და აკრედიტაციას, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმს, რომელსაც ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტმა ჩაატარა შრომის ბაზრის კვლევა კლასტერული პროგრამებისათვის და ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნული დოკუმენტაცია. მაგრამ არ არსებობს კოლეგიალური შეფასება, რომელიც აჩვენებდა დარგის ექსპერტების მოსაზრებებს პროგრამისა და მისი კომპონენტების თაობაზე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს გადამწყვეტია პროგრამის განვითარების პროცესებისათვის და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა უნდა მოამზადოს გარე შეფასების ფორმები, რომლებიც შეივსება დარგის ექსპერტების მიერ სხვადასხვა ინსტიტუტებთან საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კლასტერის თვით-შეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- კლასტერის პროგრამები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა შექმნას პროგრამის გარე შეფასების სტრატეგია და დაეხმაროს უნივერსიტეტს საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში კოლეგიალური შეფასების მიღებაში კლასტერის თითოეული პროგრამისათვის.

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის ამ კომპონენტთან

| კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მხატვრული და დოკუმენტური ფილმების რეჟისურის ბაკალავრი | ☐ | X | ☐ | ☐ |
| - ტელერეჟისურის ბაკალავრი | ☐ | X | ☐ | ☐ |
| -ანიმაციური კინოს რეჟისურისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ბაკალავრი | ☐ | X | ☐ | ☐ |
| - ხმის რეჟისურის ბაკალავრი | ☐ | X | ☐ | ☐ |
| - კინო-ტელე ოპერატორის ბაკალავრი | ☐ | X | ☐ | ☐ |
| - აუდიოვიზუალური რეჟისურის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე) მაგისტრი | ☐ | X | ☐ | ☐ |
| - კინო-ტელე ოპერატორის მაგისტრი | ☐ | X | ☐ | ☐ |
| - იუდიოვიზუალური ხელოვნების დოქტორი | ☐ | X | ☐ | ☐ |

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ტარდება ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წარმომადგენლების ხელმძღვანელობით. ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას ერთმანეთთან კოორდინაციაში ახდენენ ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები. თვითშეფასების ანგარიშსა და მარეგულირებელ დოკუმენტებში წარმოდგენილია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების პროცესი ეფუძნება შემდეგ მონაწილეებს: ა) სტუდენტები; ბ) აკადემიური და მოწვეული პერსონალი გ) პოტენციური დამსაქმებლები; დ) პროგრამის კურსდამთავრებულები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

შედეგად, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი სისტემატურად აწყობს შეფასების შემდეგ ანგარიშებს:

- სასწავლო პროცესის მონიტორინგი და ანალიზი;

- აკადემიური პერსონალის წლიური პედაგოგიური და სამეცნიერო/შემოქმედებითი მუშაობის ანგარიშების შეფასება-ანალიზი;

- სასწავლო პროცესის ელექტრონული ბაზის (ini.ge) ფუნქციონირების მონიტორინგი;

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება და ანალიზი.

კლასტერული თვითშეფასების დოკუმენტებიდან და ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუებიდან ცხადი გახდა, რომ ყველა მონაწილე მეტ-ნაკლებად ჩართული იყო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებაში.

სტუდენტები მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესში კითხვარის შევსებით; ისინი ჩართულნი არიან პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. ასევე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აწყობს ფოკუს ჯგუფებს სტუდენტებთან.

პროგრამების განხორციელების შეფასებაში აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობა გულისხმობს: განხორციელების პროცესებთან დაკავშირებულ კონცეპტუალურ დისკუსიებში მონაწილეობას.

პოტენციური დამსაქმებლები აფასებენ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს და მათ კომპეტენციებს, მათი უნარების დონის შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. კერძოდ, ისინი აფასებენ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების უნარების პრაქტიკულ გამოყენებას.

კურსდამთავრებულები აფასებენ პროგრამას კითხვარების საშუალებით. ისინი ჩართულნი არიან პროგრამის შემუშავების საკითხების განხილვის პროცესში.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა სხვადასხვა სახის პრობლემები კლასტერული პროგრამების სილაბუსების შემოწმებისას. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა უფრო ინტენსიურად უნდა აკონტროლოს პროგრამის სილაბუსები, რათა დაადგინოს თუ რა არის გასაუმჯობესებელი. მაგალითად, შეფასების მეთოდები, სწავლების მეთოდები, ლიტერატურა და ა.შ. სხვადასხვა სასწავლო კურსებში იყო პრობლემა შინაარსის გადაფარვასთან დაკავშირებით.

პროგრამების გაუმჯობესების პროცესში საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინების მიზნით, ზოგიერთი კლასტერული პროგრამა შეადარეს ევროპის უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ შედარებით ანალიზში არ განხილულა კლასტერის ყველა პროგრამა. ასევე, შედარებითი ანალიზი არ შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას მსგავსების, განსხვავებებისა და პროგრამის მომავალი განვითარების შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კლასტერის თვით-შეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- კლასტერის პროგრამები;
- სწავლების ხარისხის შეფასების და სასწავლო პროცესის მონიტორინგის წესი.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

მიზანშეწონილია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა შექმნას მსგავსი პროგრამების შედარებითი ანალიზი კლასტერში განხილული ყველა პროგრამისათვის. ასევე, შედარებითი ანალიზი არ შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას მსგავსების, განსხვავებებისა და პროგრამის მომავალი განვითარების შესახებ.

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის ამ კომპონენტთან

| კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|
| მხატვრული და დოკუმენტური ფილმების რეჟისურის ბაკალავრი | X | ☐ | ☐ | ☐ |
| - ტელერეჟისურის ბაკალავრი | X | ☐ | ☐ | ☐ |
| -ანიმაციური კინოს რეჟისურისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ბაკალავრი | X | ☐ | ☐ | ☐ |
| - ხმის რეჟისურის ბაკალავრი | X | ☐ | ☐ | ☐ |
| - კინო-ტელე ოპერატორის ბაკალავრი | X | ☐ | ☐ | ☐ |
| - აუდიოვიზუალური რეჟისურის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე) მაგისტრი | X | ☐ | ☐ | ☐ |
| - კინო-ტელე ოპერატორის მაგისტრი | X | ☐ | ☐ | ☐ |

| - იუდიოვიზუალური ხელოვნების დოქტორი | X | ☐ | ☐ | ☐ |
|---|---|---|---|---|

## პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურა. ბაკალავრიატი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ტელერეჟისურა, ბაკალავრიატი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიები, ბაკალავრიატი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (ხმის რეჟისურა, ბაკალავრიატი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (კინო-ტელე ოპერატორი, ბაკალავრიატი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე - მაგისტრატურა) | ☐ | X | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 7 (კინო-ტელე ოპერატორი, მაგისტრატურა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (აუდიოვიზუალური ხელოვნება, დოქტორანტურა) | ☐ | X | ☐ | ☐ |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| სარჩევი: სტანდარტი | 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა | 3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | 4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა | 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი |
|---|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურა. ბაკალავრიატი) | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| პროგრამა 2 (ტელერეჟისურა, ბაკალავრიატი) | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| პროგრამა 3 (ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიები, ბაკალავრიატი) | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| პროგრამა 4 (ხმის რეჟისურა, ბაკალავრიატი) | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პროგრამა 5 (კინო-ტელე ოპერატორი, ბაკალავრიატი) | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| პროგრამა 6 (აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე - მაგისტრატურა) | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| პროგრამა 7 (კინო-ტელე ოპერატორი, მაგისტრატურა) | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| პროგრამა 8 (აუდიოვიზუალური ხელოვნება, დოქტორანტურა) | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ალისია პრესენციო ჰერერო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სრული სახელი, ხელმოწერა

სოფიო თავაძე

ელენე ასათიანი

ანი ქვათაძე

მარიამ ალექსიძე